# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 2011 წელი.

№149 (6760)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


**შეცდომაა:**

**„საქართველოს სახელმწიფო შედგა!“**

**სწორია:**

**„საქართველოს სახელმწიფო შესდგა!“**



4-5

## ხელისუფლება საგრალდებო სკამზე!

## უნდა შეწყდეს ძეგლთამუსვრელი სააკაშვილის პარაკში

2



## „სამშობლოს“ ჟურნალისტებისთვის დაბრუნებას მოითხოვენ

2



## აკი კორუფცია გარდაიცვალაო?!.

ახლახან ის გურიაში დააკავეს



3



## „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“...

2

## რა ახალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ხელისუფლება მეოთხე წლისთავზე?

7

## ამერიკულ სიმინდს მავნებლები შეესია

9



## ვერავინ გვაიძულებს რუსეთის შეშვებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში

8

REUTERS

## გვატემალაში სომეხი მწვრთნელები დახვრიტეს

10

## მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მობილური ტელეფონები ოფიციალურად ცნო კანცეროგენად

11

**ვახტანგ ახვლედიანი**

## ვიცი, საიდან, როგორ მოხვედი, მაგრამ არ ვიცი, საით მიდიხარ...



6

◉ კითხული კაცის აზრი

# „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“...

**2008 წლის აგვისტოს ომის პოლიტიკური შედეგების სამართლებრივ ასპექტებზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო საკითხების ექსპერტს ლევან ალექსიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ლევან, თქვენი შეფასებით, რამდენად და რა ხარისხით აისახა 2008 წლის აგვისტოს ომის სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ეუთოს, ევროპარლამენტისა და ნატოს რეზოლუციებში? თუ შეიძლება გავაკეთოთ ამ ტიპის დოკუმენტაციის ერთგვარი ინვენტარიზაცია?**

— აგვისტოს ომის შედეგებზე მიღებული რეზოლუციების ინვენტარიზაცია შეიძლება ძალიან იოლად გაკეთდეს, ვინაიდან ომის დასრულებიდან სულ რამდენიმე ხანში სამეცნიერო ლიტერატურაში აგვისტოს ომს ბევრი სტატია მიუძღვნეს მსოფლიოში საერთაშორისო სამართლის წამყვანმა სპეციალისტებმა. ამ სტატიებში საუბარი იყო რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციაზე; საკმაოდ საფუძვლიანად იყო აღწერილი სამხედრო ინტერვენციის ანატომია. საერთაშორისო სამართლის იტალიელმა პროფესორმა ანტონიო კასესემ, რომელიც ამ სფეროში დიდ ავტორიტეტად ითვლება და დღემდე არა ერთ საერთაშორისო ტრიბუნალს თავმჯდომარეობს, გაზეთ „გარდიანში“ 2008 წლის 1 სექტემბერს გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“. კასესემ თავის სტატიაში პირველმა ჩამოაყალიბა რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაულობები. ახლა, ვინც კი აგვისტოს ომზე სერიოზულ სტატიას ამზადებს, პრაქტიკულად იმეორებს და იზიარებს პროფესორ კასესეს დებულებებს. მისი მტკიცებით, აგვისტოს ომში საქართველოს არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არ დაურღვევია.

აგვისტოს ომზე მიღებულ რეზოლუციებს გასულ წელს მე ერთ-ერთ გაზეთში სტატია მივუძღვენი, რომლის სათაური იყო — „კოლობორაციონიზმი და კაპიტულანტობა საქართველოს ვერ გაამთლიანებს“. მაშინ მოვიყვანე საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები და ახლაც გავიმეორებ. 2008 წლის 2 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო №1633, რეზოლუცია, იმავე ასამბლეამ 2009 წლის 28 იანვარს მიიღო რეზოლუცია №1647 და სხვა. ამ რეზოლუციებში წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. რეზოლუცია №1647 საკმაოდ ძლიერია. კიოლნის უნივერსიტეტის პრორექტორმა, ამჟამად სტრასბურგის სასამართლოს წევრი ანჟელიკა ნუსბერგერი აღნიშნავს, რომ „ზნავნილი არის ნათელი ყოველგვარი დიპლომატიური ბალანსის შენარჩუნების გარეშე. მკაცრი ტონი არის საკმაოდ უჩვეულო ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანოსთვის, როგორიც საპარლამენტო ასამბლეაა“.

აგვისტოს ომზე ეუთოს იმის გამო არ მიუღია არაფერი, რომ ამ ორგანიზაციაში გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება და ამ საკითხზე რეზოლუცია რუსეთმა დაბლოკა. შეგახსენებთ, თუ რა მოხდა ეუთოს ასტანის უკანასკნელ მინისტერიალზე. აგვისტოს ომში ყველა ქვეყანამ რუსეთს დასდო ბრალი და მედვედევი იძულებული გახდა, არნახულ დემარშზე წასულიყო. მან, იმისათვის, რომ საქართველოს საკითხზე კონსენსუსი ჩაეშალა, ერთი დღით ადრე დატოვა ასტანა და მოსკოვში დაბრუნდა. ფაქტობრივად, ასტანაში იგი ეუთოს წევრი ქვეყნების ზეწოლას გაექცა. რაც შეეხება ევროკავშირს, სხვადასხვა დროს არაერთ ანალოგიური რეზოლუციაა მიღებული. ევროკავშირმა სარკოზი-მედვედევ-სააკაშვილის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ უმოკლეს ვადებში, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ. ამ საკითხზე ევროკავშირის რეზოლუციაც რუსეთის მიმართ საკმაოდ მკაცრია. ტალიავინის კომისიაც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „რუსეთმა საქართველოს მიმართ გადამეტებული „ძალა გამოიყენა“. 2011 წლის აპრილში ნატოს მინისტერიალმა სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, იმ პოლიტიკას, რომელიც არ ცნობს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებლობას და რუსეთისგან მოითხოვს ამ ტერიტორიებიდან სამხედრო დანაყოფების გაყვანას.

**— აშშ-ის სენატმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. ანალოგიური რეზოლუცია რომელი ქვეყნის პარლამენტებს აქვთ მიღებული და რა როლის შესრულება შეუძლია ამგვარ რეზოლუციებს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში?**



— ეს არის ის, რის გამოც მსოფლიო არც ერთ ამ რეგიონს დამოუკიდებელ ქვეყნებად არ ცნობს. ამ ფაქტორს უდიდესი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს არის იმის წინაპირობა, რომ შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში საქმე სანქციებამდეც მივიდეს, თუ ამისათვის ნიადაგი მომწიფებული იქნება. დღეს ჩვენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას სწორედ რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციებითა და სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტების განცხადებებით ვიცავთ.

საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები, აშშ-ის სენატის გარდა, მიიღეს ლიტვის, ლატვიისა და რუმინეთის პარლამენტებმა, შემდეგ მსგავსი რეზოლუცია მიიღო აშშ-ის სენატმა, ამ რეზოლუციაში რუსეთის მიმართ ბრალდებების ნუსხა გაცილებით დიდია და ყოვლის მომცველი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ რეზოლუციას ძალიან სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოყვება არა მარტო აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე და პირველ რიგში რუსეთთან მიმართებაში. სწორედ ამ რეზოლუციების გამოა ჩვენი პოზიცია მტკიცე. მეტსაც გეტყვით, ომის შემდეგ ამ რეზოლუციების ენა სულ უფრო მეტად მკაცრი ხდება. კარგია, რომ პარტნიორი ქვეყნები ასეთ რეზოლუციებს იღებენ. ასევე, მნიშვნელოვანია აგვისტოს ომთან მიმართებაში იმ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა, სადაც გადაწყვეტილებების მიღებას რუსეთი ვერ ბლოკავს. ეს ის „ბალიშია“, რომელზედაც ჩვენ ვსხედვართ და ქართული მხარე თავის საგარეო პოლიტიკას აწარმოებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს მხარეს მთელი საერთაშორისო საზოგადოებაა.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## სასტუმრო „აფხაზეთი“ მართლა ხათუნა კალმახელიძის ძმამ შეიძინა?

**თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის 325-ში მდებარე ობიექტი შპს „ველაჯიომ“ შეიძინა. აღნიშნული ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზეა განთავსებული.**

**ვებგვერდის ინფორმაციით, „ველაჯიომ“ ობიექტი 2011 წლის 26 ივლისს შეიძინა. გადახდილია საბანკო მომსახურების თანხაც.**

**მყიდველმა, ასევე, წარადგინა წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების საფასურის გადახდის საბუთი, ნასყიდობის ხელშეკრულება და მომსახურების საფასურის 405-ლარიანი ქვითარი. საჯარო რეესტრის ვებგვერდზე მითითებულია, რომ „ველაჯიოს“ წარმომადგენელია ლევან კალმახელიძე.**

**ვაჟა-ფშაველას 325-ში სასტუმრო „აფხაზეთი“ მდებარეობს, სადაც ცხინვალის 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგად დევნილები ცხოვრობენ.**

**მათი გამოსახლება უახლოეს დღეებში იგეგმება. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში სასტუმროს შენობის ახალი მფლობელის ვინაობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.**

**ჭორად დადის, რომ ლევან კალმახელიძე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ხათუნა კალმახელიძის ძმაა. ხათუნა კალმახელიძემ კი განაცხადა, რომ მის ძმას სასტუმრო „აფხაზეთთან“ არანაირი კავშირი არ აქვს. თან დაამატა რომ მას ძმა არა ჰყავს. მინისტრის თქმით, ის ამ ინფორმაციის გამო თავს უხერხულად გრძნობს, რადგან ღირსების მატარებელი ადამიანია.**

## დაგვიბრუნეთ „სამშობლო!!!“

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხივი„ და კავშირი „სოლიდარობა„ გამომცემლობა „სამშობლოს„ ყოფილი შენობის ჟურნალისტებისთვის დაბრუნებას მოითხოვენ. ამ მოთხოვნით მათ დღეს „სამშობლოს„ ყოფილ შენობასთან აქცია გამართეს.**

**„მოვითხოვთ, დაუბრუნდეს „სამშობლო“ ჟურნალისტებს და ამ შენობაში დაარსდეს სააქციო საზოგადოება „მასმედიის სახლი„. იმისთვის, რომ ამას მივაღწიოთ, უნდა შევქმნათ მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შენობის პრივატიზაციის პროცესს მონიტორინგს გაუწევს. მომავალი კვირიდან აქციებს ეკონომიკის სამინისტროსთან გავმართავთ. სოლიდარობისკენ მოვუწოდებთ ჟურნალისტებს, ჟურნალისტთა უფლებების დამცველებს და ყველა კეთილი ნების ადამიანს“, — განაცხადა კავშირ „სხივის“ პრეზიდენტმა თამაზ ბიბილურმა.**

**მისივე ინფორმაციით, გამომცემლობის ყოფილი შენობა ამჟამად ავარიული და გაძარცვულია.**

**„არც ერთი თავმოყვარე ბიზნესმენი ამ შენობას არ ყიდულობს და როგორც ჩანს, ხელისუფლება აპირებს, სხვისი სახელით თავადვე იყიდოს შენობა“, — განაცხადა ბიბილურმა.**



◉ პროტესტი

# შეწყდეს ძეგლთმმუსვრელი სააკაშვილის პარპაში!

**ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივნის ნესტან კირთაძის განცხადებით, საქართველოში ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ბრძოლა და მანქურთული პოლიტიკა უნდა დასრულდეს.**

კირთაძე ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის „გაძევებას“ აპროტესტებს და პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას მოუწოდებს,



„ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების მანქურთულ პოლიტიკას, რომელიც მოსვლისთანავე ებრძვის ყოველგვარ ქართულს, ეროვნულს, სარწმუნოებრივს, მათ შორის, აგრძელებს ბრძოლას ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ„.

—სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის უკვე გვაქვს: 1. შეგინებული და ბინძური პასკვილებით შეურაცხყოფილი ქართლის დედა (ელგუჯა ამაშუკელის ცნობილი სიმბოლური ქანდაკება). 2. რესპუბლიკის მოედნიდან „გაძევებული“ დავით აღმაშენებელი და უკიდურესად შეურაცხყოფილი თანამედროვეობის დიდი მოქანდაკე — მერაბ ბერძენიშვილი. 3. ბათუმის ბულვარიდან „გაძევებული“, კალთაში სავარძელჩამწვარი და შეურაცხყოფილი, აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების თავკაცი — მემედ აბაშიძე. 4. იმავე ბათუმის ცენტრალური მოედნიდან „გაძევებული“ ილია ჭავჭავაძე. 5. აფეთქებული და მსხვერპლით დასრულებული დიდების მემორიალის ნგრევა ქუთაისში და ქართული მეხსიერებიდან ჩვენი წინაპრების ფაშიზმთან და ნაციზმთან გმირული ბრძოლის ამოშლა. 6. სტალინის ძეგლის „გაძევება“ გორიდან და უმისამართოდ მისი გაქრობა. 7. სულ ახლახანს დავით აღმაშენებლის „გაძევება“ ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან და თბილისიდან „გასაძევებლად“ გამზადებული მეფე ვახტანგ გორგასალი და მეფე ერეკლე თელავიდან“, — განაცხადა კირთაძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

მისივე შეფასებით, აღნიშნული ხელისუფლების მიერ ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ბრძოლას და მის მანქურთულ პოლიტიკას წარმოადგენს.

—რა არის ეს? ავადმყოფობა? მანია, ფობია, თუ ეს გახლავთ ეროვნული სიმბოლოების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მანქურთული პოლიტიკაა, რომელიც უნდა დავასრულოთ, ვინაიდან ჩვენი წარსული და საქართველოს ეროვნული სიმბოლოები ჩვენი ისტორია არ არის მხოლოდ. ეს ჩვენი დღევანდელობა და მომავლის პასუხისმგებლობაა, — აღნიშნა ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა.

ჯი-ეიბ-ენი

## დღის სენსაცია

# აკი კორუფცია გარდაიცვალაო?!.

## ახლახან ის გურიაში დააკავეს



**ვიდრე იმას გავარკვევდეთ, ვარდოსნების მიერ საქართველოდან სამუდამოდ გაძევებული და სააკაშვილის მტკიცებით უკვე გარდაცვლილი კორუფცია უეცრად როგორ აღმოჩნდა გურიაში, კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გამჭვირვალე“ შენობაში, ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ ის მრავლისმეტყველი პერიპეტიები, რომლებიც ამ მოუხელთებელ ავაზაკსა და ბანდიტს (კორუფციაზე მოგახსენებთ) ქვეყნის ერთმმართველ პრეზიდენტთან და მის ხელქვეით დეტექტივებთან ხელჩართულ უთანასწორო ბრძოლაში გადახდა. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში, ისევე როგორც სიღატაკესთან, უმუშევრობასთან, მსოფლიო კრიზისთან ბრძოლებში, აგრეთვე, რუსეთთან თათარიახნად წამოწყებულ ომში, სხვა მსხვილმან თუ წვრილმან შეტაკებებში სააკაშვილის ხმალი უძლეველ-დაუმარცხებელი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყნის აღმშენებლობით გაბოროტებულ ოპონენტთა თვალებს რომ ვერაფერი დაანახვა?!**

ალბათ ყველას ახსოვს, წლეულს გაზაფხულზე პარლამენტში ანგარიშით გამოსული სააკაშვილი როგორ გაანერვიულა ვინმე დეპუტატ ჩახვაძის მიერ უადგილოდ ნახსენებმა „ელიტურმა კორუფციამ“, რასაც მუდამ დინჯი და აუღელვებელი ქვეყნის თავკაცის მძაფრი რეაქცია მოყვა:

— წავიდა, სამუდამოდ დასამარდა, ბატონებო, ეგ თქვენთვის სათაყვანებელი კორუფცია, — თქვა მაშინ ქვეყნის გასაგონად პრეზიდენტმა, — აბა ის რომ ცოცხალი იყოს და ძველებურად გვიტევდეს, ამ გაჩახჩახებულ დარბაზში თვალს როგორ გამოეპარებოდა? მორჩა, დამთავრდა კორუფციის ამბავი და აღარ უნდა ვეძებოთ იქ, სადაც ის არ არის. დაიმახსოვრეთ, ჩვენ არა ვართ შევარდნაძის მთავრობის წევრები, რომლებიც კორუფციას ეკეკლუცებოდნენო.

ეს ყველაფერი სააკაშვილის ენაპირით ისე სარწმუნოდ და დამაჯერებლად ითქვა, რომ კოროუფციის გარდაცვალებაში ეჭვი აღარავის უნდა შეპარვოდა. მაგრამ ურწმუნო თომებს რა დალევს ამ ტიალ ქვეყანაში და აი, იმ დარბაზშიც გამოჩნდა კაცი, — საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, — რომელმაც დაიჩემა, **კორუფცია საქართველოში არ მომკვდარა, თავს ჯანმრთელად გრძნობს და ისეთ მადაზეა, ლამის ქვეყანა გადაჭამოსო. მერე ისიც იკადრა, ეთქვა — კორუფცია ასე მადიანად იმიტომ იცოხნება, ბატონო პრეზიდენტო, რომ მას შეფობას პირადად თქვენ უწევთო(!).**

ჰოდა, რა გასაკვირია თუ ასეთი უცერემონიო განცხადების შემდეგ ბატონი სააკაშვილი იძულებულია, სადაც არ უნდა გამოდიოდეს სიტყვით, პარლამენტის ტრიბუნა იქნება ეს თუ სვანეთის სათხილამურო ტრასის მშენებლობა, ბათუმში ახალი სასტუმროს გახსნა თუ საბავშვო ბაღში აღსაზრდელთა მშობლებთან შეხვედრა, პირმოუღლელად უმტკიცოს თვინიერ მსმენელს, რომ კორუფცია ქვეყნის სათავეში ნაცების გამოჩენისთანავე აითესა და მეზობელ ქვეყნებში — რუსეთში, ბელორუსში, აზერბაიჯანში, სომხეთში (და კიდევ სად აღარ) აფხაზეთიდან ლტოლვილივით გადაიხვეწა. ამათგან გამორჩევლად ეჭვი უფრო პუტინის რუსეთზე აქვს, რის საფუძველსაც სააკაშვილს დიდი მეზობლისთვის საკუთარი ხელითვე ჩალის ფასად მიყიდული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები აძლევს.

ეგა ვთქვათ, პრეზიდენტს სურვილი არა აქვს თავის ძველ მეგობარს — კორუფციას გამოემცნაუროს, თორემ სულ იოლად შეეძლო მისთვის პაემანი დაენიშნა და თბილისის საპრეზიდენტო რეზიდენციაში თუ არა ბოგოყვათისაში მაინც შეხვედროდა. როცა ჯანზე იყვნენ, **ამის გაკეთება შეეცადნენ „სახალხო კრების“ ლიდერები, რომელთაც რუსთაველის მეტროსთან გახსნილ „მხილების მუზეუმში“ სამზეოზე გამოფინეს მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქრაძის, ძმები კუბლაშვილების და ბეჟუაშვილების, სხვა ბობოლა ჩინოვნიკების საისტორიო მნიშვნელობის უმდიდრესი „ექსპონატები“.** მაგრამ ნათქვამია, თუ კაცს არა სურს, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო და, როგორც ჩანს, ეტყობა, სააკაშვილმაც ამ „საპატიო“ მიზეზისა გამო „დაიბრმავა“ თვალები.

ეს პრეზიდენტმა ქნა, მაგრამ მისი ხათრით ხალხიც ხომ არ დაბრმავდება! უმტკიცე რამდენიც გინდა, კორუფცია შევარდნაძის მთავრობიდან პუტინის მთავრობაში გაიპარაო. ხალხი მშვენივრად ხედავს, რომ პუტინს თავის საკუთარი კორუფცია ემსახურება და სააკაშვილს კიდევ — თავისი, რომელსაც მან ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე გაუკეთა პრივატიზება...

სახელისუფლებო კორუფციის მისამართით საკუთარი პრეტენზიები და „დოკუმენტები“ გააჩნია ლეიბორისტ გიორგი გუგავას, რომელიც ფიქრობს, რომ **„საქართველოში საწვავის ფასების კატასტროფული ზრდა გამოწვეულია ალიევ-სააკაშვილის საოჯახო ბიზნესინტერესებით, რომლებიც არიან ქვეყანაში საწვავის მთავარი მონოპოლისტი კომპანიის „სოკარის“ მეპატრონეები და ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე ყოველდღიურად მრავალი მილიონით ივსებენ პირად ანგარიშებს“. გუგავას თქმით, კომპანია „სოკარ ჯორჯიას“ 51 პროცენტს ფლობს აზერბაიჯანული მხარე, ხოლო 49 პროცენტს — სააკაშვილის ოჯახი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ „ვისოლი“ ფაქტობრივად არის მიხეილ სააკაშვილის ძმის კომპანია, აშკარაა, ეს კომპანიები საქართველოში მთლიანად განსაზღვრავენ საწვავის ბაზრის კონიუნქტურას. არადა სწორედ საწვავზე ფასების კატასტროფული ზრდა ანგრევს ქვეყნის სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, მთლიანად საქართველოს ეკონომიკას, რომელსაც ხელისუფლება ასე „მდგრადად“ ანვითარებს.**

გუგავა ვინც არის და რატომაც სდებს ბრალს პრეზიდენტს და მის ოჯახს კორუფციაში, გასაგებია, მაგრამ თვით ვანო მერაბიშვილის უწყებაში, კერძოდ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტშიც თუ აღმოჩნდებოდნენ „სააკაშვილის მტრები“, ამას კი ველარ წარმოვიდგენდი. მტრობა თუ არა, სხვა რა შეიძლება დავარქვათ ამ დეპარტამენტის ბოგოლა მოხელის (თოფურიძეზე მოგახსენებთ) საქციელს, რომელიც პეზიდენტის მტკიცების (კორუფცია ძირფესვიანად ამოვძირკვეთო) საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებიდან წარამარა გაბაწრავს ხოლმე რომელიმე კორუფციონერს და ამით კიდევაც ამაყობს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის საუკეთესო მაგალითია გარემოს დაცვის სამინისტრო, სადაც ერთ პერიოდში ხსენებული დანაშაულის მოტივით მინისტრის გარდა თითქმის ყველა მოხელე დააპატიმრეს.

ახლა კიდევ, სულ ორიოდე დღის წინათ, ამ გარდაცვლილმა კორუფციამ გურიაში არ ამოყო თავი(?!). სააკაშვილს და მის გუნდს ის კაიხნის მკვდარი რომ ეგონათ, თურმე იქაურ ტყეში ყოფილა ფირალად გავარდნილი. **ქვეყნის მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ეს ფირალი (იგივე კორუფციონერი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ტაკიძე აღმოჩნდა, რომელიც 180 ათასი ლარის მითვისებაში თანამონაწილეობის ბრალდებით დააკავეს. ის დასუფთავების სამსახურის უფროს მერაბ კურდღელაშვილისგან დამატებით დიდი ოდენობის ქრთამის, 20 ათასი ლარის აღებაშია დადანაშაულებული.**

ამის შემდეგ გადმოგდება ჩვენი ჩაუქა პრეზიდენტი სააკაშვილი და ტელეეკრანიდან ჯიქურ გვარწმუნებს — საქართველოში კორუფცია ისე ამოვძირკვეთ, მისი ნასახიც აღარსად დარჩაო. არადა, როგორც უკვე ვთქვი, კორუფციით ჩაბუჟბუჟებულ სახელმწიფო მოხელეებს სამართალდამცავები ხან აქ გაბაწრავენ, ხან იქ, ხან დედაქალაქში და ხანაც კიდევ — პერიფერიებში. თანაც ისე, რომ სიტყვა კორუფციას არც ახსენებენ, ვითომ ესენი კორუფციონერები კი არა, უბრალო მექრთამეები იყვნენ. მაშინ იქნებ კეთილი ინებონ და აგვიხსნან, რა განსხვავებაა მექრთამეობასა და იმ კორუფციას შორის, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთი ხელის მოსმით დაასამარა?

თავის დროზე ერთი ცნობილი ფილოსოფოსი ცდილობდა დროის არარსებობა დაესაბუთებინა. წარსული არ არსებობს, ამბობდა ის, იმიტომ, რომ უკვე წარსულია, აწმყოც, ვიტყვით თუ არა, უკვე წარსულია, ხოლო მომავალი ჯერ არ დამდგარაო. ჩვენი ხელისუფლებაც, როგორც ჩანს, ამ „ლოგიკას“ ეყრდნობა: კაცს ვიდრე არ დაიჭერ, კორუფციონერი არ არის, ხოლო როცა დაიჭერ, უკვე პატიმარია და არა კორუფციონერი“(!).

აი ასე, იყო კორუფცია საქართველოში (შევარდნაძის პერიოდში) და აღარ არის. უფრო სწორად, რეალურად არის, მაგრამ სააკაშვილის ხათრით უნდა ირწმუნო, რომ აღარ არის. ირწმუნეთ, ბატონებო, ირწმუნეთ. ნეტარ არიან მორწმუნენი!

**ოთარ ხუციშვილი**

## კითხული კაცის აზრი

# „მგელი, რომელმაც საქართველო შეჭამა“...

(მეორე გვერდიდან)

**— ცალკე თემაა გაეროში შექმნილი ვითარება. იმის გამო, რომ რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყანაა და ვეტოს უფლება აქვს, 2008 წლის აგვისტოს ომზე გაეროს უშიშროების საბჭოს დღემდე არანაირი რეზოლუცია არ მიუღია. აგვისტოს ომმა კიდევ ერთხელ ცხადი გახადა რომ გაერო არაეფექტური საერთაშორისო ორგანიზაციაა და მოდერნიზირებას საჭიროებს...**

— ამ თემას მე სტატია მივუძღვენი სათაურით „გაეროს უშიშროების საბჭოს უსუსურობა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარებაში საფრთხეს უქმნის პატარა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას“. ამ სტატიაში ვამტკიცებ, რომ უშიშროების საბჭო აბსოლუტურ უსუსურობას ავლენს. იმის გამო, რომ რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, უშიშროების საბჭომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით რეალურად ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. სხვათა შორის, მე 2008 წლის 28 აგვისტოს უშიშროების საბჭოს ოქმი მაქვს, რომელშიც იმჟამინდელი უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან 14 ქვეყანა აგვისტოს ომში ყველაფერში რუსეთს ადანაშაულებს, მაგრამ საბჭომ ჩვენს საკითხზე ვერანაირი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. მაშინ რუსეთმა ამ რეზოლუციის მიღება დაბლოკა და ყველანი პროქართულ პოზიციაში დაადანაშაულა.

სამწუხაროდ, საქართველოში ბევრმა ყურადღება არ მიაქცია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც საუბარია ეთნიკურ წმენდებსა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნებისა და ქონებრივი უფლების თაობაზე.

**— საერთაშორისო ორგანიზაციებმა აგვისტოს ომთან დაკავშირებით არაერთი კარგი რეზოლუცია მიიღეს, მაგრამ როგორ შეაფასებდით იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც ქვეყანა აგვისტოს ომის შედეგების გამო აღმოჩნდა?**

— მიმაჩნია, რომ ომის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა გაცილებით უფრო გაიზარდა, ვიდრე ეს ომამდე იყო. თავის დროზე ევროპამ არ გააცნობიერა, რომ საქართველოს კონფლიქტებში უფრო მეტად უნდა ეაქტიურა. იმაში, რომ აგვისტოს ომი საერთოდ მოხდა, პირადად მე, დასავლეთ ევროპას ვადანაშაულებ. ასმუსის მსგავსად მეც ვამბობ, — ევროპას რომ ომამდე კონფლიქტებისადმი მეტი ყურადღება გამოეჩინა, აგვისტოს ომი არ მოხდებოდა.

**— რუსეთი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას არ აპირებს. როგორ შეაფასებდით აგვისტოს ომზე მედვედევისა და პუტინის განცხადებებს?**

— ყურადღებით გავეცანი მედვედევის ინტერვიუს და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პუტინის განცხადებებს. მედვედევის ინტერვიუ ძირითადად სააკაშვილის უწმაწური სიტყვებით ლანძღვა-გინება იყო, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში მიუღებელია. ინტერვიუში ჩვენ ვიხილეთ ზიზღით სავსე პრეზიდენტი, რომელიც უფრო „ნორჩ ლენინელს“ გავდა, ვიდრე — პრეზიდენტს. მისადმი სიბრალურის გრძნობა კიდევ ერთი რამის გამო გამიჩნდა — იგი გრძნობს, რომ მართალი არ არის, ცრუობს, და რაც უფრო მეტ კითხვას უსვამენ, „იძირება“, რაც სახეზეც ეტყობა. იგი სულ საწინააღმდეგოს ამბობდა ომის მსვლელობისას და მაშინ, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ამას წინათ მან განაცხადა — „აგვისტოს ომში რუსეთმა თავისი ინტერესები დაიცვა“. ომის დროს კი ამტკიცებდა, — „რუსეთი ცხინვალში რუსეთის მოქალაქეებს იცავდა“. ორი თვის წინ იგივე მედვედევი ამტკიცებდა, — „აგვისტოს ომით მოსკოვმა რუსეთი დაშლას გადაარჩინა“. ჩემი აზრით, მედვედევმა თავადაც აღარ იცის, რომელი განცხადებების კეთებისას არის გულწრფელი და მართალი.

საქართველოზე საუბრისას მას დაავიწყდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ხელშეწყობით განხორციელებულია ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა. აფხაზეთში რამდენიმე ათასი მშვიდობიანი ქართველი ფიზიკურად განადგურდა, ხოლო 200 ათასზე მეტი გაძევებულ იქნა რეგიონიდან. აგვისტოს ომის მსვლელობისას ცხინვალის რეგიონში ვითარება ანალოგიურად განვითარდა.

**კობა ბენდელიანი**

ხელისუფლება საბრალდებო სკამზე

# მოქალაქეობის და სიდუხჭირე“

## შეცდომაა: „საქართველოს სახელმწიფო შედგა!“

**„CIVIS ROMANUS SUM“ – „მე რომის მოქალაქე ვარ!“**
– ამ სიტყვებს რომის იმპერიის ნებისმიერ კუთხეში გაიძახოდნენ ადამიანები იმის იმედით, რომ მათ უფლებებს პატივისცემით მოეპყრობოდნენ, ხოლო თუ მათ უფლებებს შელახავდნენ, ამის ჩამდენი დაისჯებოდა.

რომის მოქალაქეობა გულისხმობდა სერიოზულ პასუხისმგებლობებს (ანუ – სამოქალაქო უფლებებსċ – ჯარში სამსახურს, გადასახადების გადახდას, არჩევნებში მონაწილეობას და არჩევის უფლებას. და ამავე დროს სერიოზულ მფარველობასაც იმპერიის მხრიდან (პირად უფლებებსċ – ხოლო უპირველესი მათ შორის იყო – სამართლიანი სასამართლოს უფლება!

სადაც არ უნდა ყოფილიყო რომის მოქალაქე, ვისაც არ უნდა დაეპატიმრებინა იგი, და რაოდენ მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, მას ჰქონდა თავისუფალი სასამართლოს მოთხოვნის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქის უფლების დამრღვევი რომის კანონით უმკაცრესად გასამართლდებოდა.

რომის მოქალაქის სიკვდილით დასჯა ღალატისათვის შეიძლებოდა, მაგრამ ამ მუხლით მისი გასამართლება მხოლოდ რომში უნდა მომხდარიყო. პავლე მოციქული პალესტინაში დააპატიმრეს და ღალატის ბრალდებით უნდოდათ სიკვდილით დაესაჯათ. პავლემ, რომელიც რომის იმპერიის ერთგულ დამცველად ნამდვილად არ მოიაზრებოდა, დაუყოვნებლივ განაცხადა – რომის მოქალაქე ვარ და მსურს კეისრის სასამართლომ რომში გამასამართლოსო! ორი თვე დასჭირდა ტუსაღის რომში ჩაყვანას, და რომში არა მარტო გაასამართლეს, არამედ გაამართლეს კიდეც.

სიცოცხლის უფლება არ იყო ისე მკაცრად გარანტირებული რომის მოქალაქისათვის, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება!

რომის თავისუფალ მოქალაქეს სასამართლოს გარდა ვერავინ შეუზღუდავდა მის თავისუფლებას - ვერც მაგისტრი, ვერც რომს დაქვემდებარებული სამეფოების და ტერიტორიების ადგილობრივი ტირანები, და ვერც მოვალეები, თუ მოქალაქის მიერ მოთხოვნილი სასამართლო მას გამამტყუნებელ განჩინებას არ მიიღებდა. ამიტომ, როგორც კი მის მიმართ უკანონო მოპყრობას წააწყდებოდა, რომის ნებისმიერი მოქალაქე მაშინვე ხმამაღლა გაჰყვიროდა ამ მაგიურ სიტყვებს – Civis Romanus Sum – და ამის გაგონებაზე ნებისმიერმა უზურპატორმა და მოძალადემ იცოდა, რომ მისი ძალადობის წინააღმდეგ ძლევამოსილი იმპერიის სამართალი იდგა.

**მას მერე დიდი დრო გავიდა.** რომის გარდა, იყო და არის იმპერიები, რომლებიც უწინაც და დღესაც ახერხებდნენ თავისი მოქალაქეების უფლებების მსოფლიოში დაცვას. მაგ. 1850 წელს დიდი ბრიტანეთის ორგზის პრემიერ-მინისტრმა და იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა პალმერსტონმა ათენში გიბრალტარის მოქალაქე მდიდარი ებრაელის დონ პასიფიკოს სახლზე თავდასხმისათვის, რომელშიც საბერძნეთის მინისტრის შვილებიც მონაწილეობდნენ, საბერძნეთს საზღვაო ბლოკადა გამოუცხადა! 8-კვირიანი ბლოკადის შემდეგ საბერძნეთის მთავრობამ სერიოზული კომპენსაცია გადაუხადა დონ პასიფიკოს, რაზეც კმაყოფილმა პალმერსტონმა ბრიტანეთის პარლამენტში განაცხადა, ხომ დავუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ ბრიტანეთის იმპერიის მოქალაქის მიმართ ხელშეუხებლობის რომაული პრინციპი **Civis Romanus Sum** დღესაც მოქმედებსო!

ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც სხვა დიდი იმპერიები, ასევე მტკივნეულად რეაგირებს მისი მოქალაქეების უფლებების შელახვაზე და ამერიკელები ამას კმაყოფილებით აღნიშნავენ. საკმაოდ პოპულარულ პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მიერ 1980 წლის არჩევნების პირწმინდად წაგება რონალდ რეიგანთან, სწორედ ირანის მიერ აშშ-ის საელჩოს აღების და მძევლების აყვანაზე კარტერის ადმინისტრაციის უსუსურ რეაქციას (მძევლების განსათავისუფლებელი ოპერაციის სრულ კრახსċ უკავშირდებოდა. ირანელებმა მძევლები რეიგანის ინაუგურაციიდან მეორე დღეს გაათავისუფლეს და აიათოლა ჰომეინიმ მთელ მსოფლიოს განუცხადა, ეს ჩვენ დავამარცხეთ ამერიკის პრეზიდენტი კარტერიო.

ასევე ალბათ არასოდეს აპატიებენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს მისი თანამოქალაქეები იმას, თუ როგორ დაუთმო მან კადაფის დაჟინებულ მოთხოვნებს და დიპლომატიური დივიდენდების მისაღწევად გაანთავისუფლა ლიბიელი ტერორისტი, რომელმაც 250 უდანაშაულო ადამიანი შოტლანდიური ლოკერბის თავზე „პან ამერიკენის“ თვითმფრინავში ააფეთქა.

ისრაელი იმპერია არაა, მაგრამ უმკაცრესად ეკიდება საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვას მთელს მსოფლიოში. ამის მაგალითები მრავლადაა, როცა ისრაელი ლამის ომის დაწყებაზეც კი წასულა თავისი ერთადერთი მოქალაქის თავისუფლების თუ სიცოცხლის დასაცავად. და ალბათ ეს მაგალითები კიდევ უფრო გამდიდრდება – თუნდაც იმ ფასის დემონსტრირებით, რაც საქართველოს მთავრობას მოუწევს გადაიხადოს ისრაელი ბიზნესმენების უკანონო დაპატიმრების და უსამართლო სასამართლოს გამო.

ამავდროულად, ამ ქვეყნების სასამართლო სისტემა, რომელიც იდეალური ვერ არის და ვერც იქნება, მაინც აბსოლუტურ უმრავლესობაში უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკთა თვითნებობებისაგან, მათ საკუთრების უფლებას, მათ ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლებას... ანუ, პიროვნული უფლებების პატივისცემის მოთხოვნას, რასაც ეს იმპერიები თავის მოქალაქეებთან დამოკიდებულებაში სხვა ქვეყნებს ავალდებულებენ, საშინაო გარემოშიც ანალოგიურად ვრცელდება.



**არიან სხვა ტიპის ქვეყნები,** რომელთა ხელისუფალნიც, განსხვავებით ზემოთ ჩამოთვლილთაგან, მხოლოდ არჩევითად ახორციელებენ მოქალაქის უფლებების დაცვას – ქვეყნის გარეთ ისინი გააფთრებით იცავენ თავისი თანამემამულეების უფლებებს (განსაკუთრებით, თუ ეს „თანამემამულეები“ სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან – მაგალითად ლატვიაში, ესტონეთში, ფინეთსა, აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთშიċ, მაგრამ საშინაო ასპარეზზე თავად გვევლინებიან ამავე მოქალაქეების უფლებათა მასიური დარღვევების ავტორებად.

ამის მაგალითები მრავლადაა – „კურსკის“ და „კომსომოლეცის“ ტრაგედიების გამოძიებისა და „ნორდ-ოსტისა“ თუ ბესლანის შტურმიდან – ანა პოლიტკოვსკაიას, სერგეი მაგნიტსკის, პოლ ხლებნიკოვის, ეკატერინა ბაბურინას, ევლოევის და უფლებადამცველების მკვლელობებამდე და მიხეილ ხოდორკოვსკის და პლატონ ლებედევის დაუსრულებელ პატიმრობამდე. რუსეთის კრედო განსხვავებულია რომაულისაგან და, ალბათ, ყველაზე უკეთ, ამ დევიზით გამოიხატება: „Бей своих, чтоб чужие боялись!“ ზუსტად ანალოგიურია სხვა ტოტალიტარული რეჟიმების მიდგომებიც – ირანი, სირია, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, კამბოჯა, მიანმა, უზბეკეთი... მათი პატრიოტიზმი ტოტალიტარულია – ანუ მხოლოდ საგარეო სურნელი დაჰკრავს – როცა საკუთარი მოქალაქეების დაცვას მხოლოდ სხვა ქვეყნებისაგან ითხოვენ და საკმაოდ აგრესიულადაც. ხოლო საშინაო მოხმარებაში ტანკებით ასობით მოქალაქის დახოცვა, თუ რეჟიმისადმი არალოიალური ოჯახის წევრების ჯგუფური გაუპატიურებები – „ნორმალური“ საქციელია და „პატრიოტიზმს ამაგრებს“!

**და მაინც, დიდხანს რომ არ ვიტირო სხვისი მკვდარი** (სამართალს და სამართლიანობას ვგულისხმობ ზოგადადċ, მინდა იმ უნიკალურ შემთხვევას დავუბრუნდე, რასაც „დემოკრატიული სინგაპური“ და „კავკასიის შვეიცარია“ აქვს შერქმეული მისი უზურპატორისაგან. ესაა საქართველო – პარადოქსების ქვეყანა.

თუ პირველი ჯგუფის ქვეყნების მოქალაქეებს მთელ მსოფლიოში შეუძლიათ აცხადონ ამაყად თავისი მოქალაქეობა, ხოლო მეორე ჯგუფის ქვეყნების მოქალაქეებს – მხოლოდ საზღვარგარეთ, საქართველო კი ის უნიკალური შემთხვევაა, როცა ჩემი ღრმა რწმენით მოქალაქემ თავისი მოქალაქეობა ყველგან და ყოველთვის უნდა დამალოს!

სანამ რეჟიმდამცველთა მხრიდან ქვების წვიმა არ წამოსულა, შევეცდები ავხსნა ამ ჩემი უაღრესად „ანტიპატრიოტული“ მოწოდების მიზეზი. (აქვე მინდა დავამატო, რომ „მე ქართველი ვარ“ დღემდე ამაყად ჟღერს, როგორც ქართველი ხალხის და ეროვნული კულტურის გამოხატულება და არა – ქართული სახელმწიფოსიċ

რა დაცვას ჰპირდება საქართველოს მოქალაქეობა მის პატრონს საზღვარგარეთ? პრაქტიკულად ნულოვანს.

არამცთუ ჩვეულებრივი მოქალაქე, არამედ კარგად გვახსოვს, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ თავისი დიპლომატიც კი – გიგა მახარაძე – უყოყმანოდ გაუშვა ამერიკულ ციხეში, მაშინ როცა დიპლომატიური იმუნიტეტის გამოყენების საშუალება ჰქონდა, რათა ამერიკის მთავრობის მიმართ ლოიალობა დაემტკიცებინა. ხოლო აბსოლუტურად სიმეტრიულ შემთხვევაში, როცა ბულგარელი დიპლომატის მანქანამ თბილისში ორი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა, პირიქით, ყველაფერი გააკეთა, რომ დამნაშავე ჩუმად გაეპარებინა თბილისიდან.

საქართველოს მოქალაქის შევარდნაძისდროინდელი უუფლებობა სააკაშვილის ხელისუფლებამ კუბში აიყვანა!

ვინმეს გახსენდებათ შემთხვევა, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ინტერესები აქტიურად დაიცვა? სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველი მეზღვაურები, რომლებიც საქართველოს მთავრობამ დემონსტრაციულად ფეხზე დაიკიდა? თურქეთის ციხეებში გამომწყვდეული ქართველები, რომელთა საქმეების და ციხეში არაადამიანური ყოფის პირობები საქართველოს საერთოდ არ ადარდებს? მალაიზიის მიერ ნარკოვაჭრობის ბრალდებით სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში მყოფი ორი ქართველი ქალი, რომელთა საქმის შესახებ გრიგოლ ვაშაძე პერმანენტულად ვერ ახერხებდა მალაიზიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებას? კადაფის რეჟიმის მიერ დატყვევებული გემის ქართველი მეზღვაურები, რომლებიც მხოლოდ მერე გაახსენდა საქართველოს, რაც მათ ტყვეობიდან თავისით გაქცევა მოახერხეს? უკრაინის მთავრობის მიერ უკანონო მოპყრობის არაერთი შემთხვევა, როცა საქართველოს მოქალაქეებს პირდაპირ აეროპორტში უმიზეზოდ დეპორტს უკეთებდნენ და უკან აბრუნებდნენ?

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მთავრობა გამეხებით ისვრის ბრალდებებს და მთელ მსოფლიოში ხმამაღლა ამხელს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დამრღვევს, ეს მაშინ, თუ ეს დამრღვევი რუსეთია.

ნება მიბოძეთ, ჩავთვალო, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობისთვის მთავარი მისი მოქალაქეების უფლების დაცვა კი არ არის, არამედ რუსეთისთვის სილის გაწვნის შანსის არგაშვება და ძალიან ბედნიერია, როცა რუსეთი ამ შანსს საკმაოდ ხშირად აძლევს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რა უსუსურად ჩააფლავა საქართველომ ყველაზე სერიოზული შესაძლებლობა, რომ საკუთარი მოქალაქეების ინტერესებიც დაეცვა და რუსეთიც სამაგალითოდ გაემათრახებინა, როდესაც თინა ბურჯალიანის მიერ ფართოდ რეკლამირებული საქართველო - რუსეთის საჩივარი ჰააგაში „შეცდომით“ სხვა სასამართლოში შეიტანა, მივხვდებით, რომ ამ ერთეულ შემთხვევებშიც კი, როცა საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო არენაზე თავისი მოქალაქეების უფლებების დასაცავად ხმის ამოღებას გადაწყვეტს, ის ამას ისე უნიათოდ და არაპროფესიულად აკეთებს, რომ ირონიის მეტს ვერაფერს იმკის...

მაგრამ დავბრუნდეთ საშინაო ასპარეზზე და იქნებ ნათელი გახდეს. რატომ „ვერ“ იცავს საქართველოს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე... ბოლო ბოლო, გაცილებით ძლიერ სახელმწიფოებსაც კი უჭირთ ხოლმე საზღვარგარეთ თავისი სიმართლის და სამართლის დაცვა.“

უბედურება იმაშია, რომ საქართველოს მოქალაქეებს მსოფლიო ტერორისტებისგან, უცხოეთის უსამართლო სასამართლოებისაგან თუ კორუმპირებული პოლიციელებისაგან, ან თუნდაც – მტრული რეჟიმებისაგან გაცილებით იშვიათად ემუქრებათ საკუთარი უფლებების ამაზრზენი დარღვევა, ვიდრე თავად საქართველოს ხელისუფლებისაგან!

**საქართველოს უბრალო მოქალაქეს ემუქრება:**

აċ 1 წელი ციხე 35-ლარიანი ნახევრად-დამპალი ფიცრის მოპარვისათვის

ბċ 8 წელი ციხე – 4 ცალი ავტოსაბურავის მოპარვისათვის

გċ 9 წელი ციხე – საშუალო ზომის გოჭის მოპარვისათვის...

მაგრამ დავანებოთ თავი იმ შემთხვევებს, როცა საქმე ქურდების მიმართ გამოტანილ სასჯელის უაზრო სიმკაცრეს

№ 149. ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 2011 წელი.

ეხება, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ემუქრება:

● მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ადმინისტრაციული პატიმრობა (90 დღემდე) ნებისმიერ მცირე დარღვევაზე, რასაც თუნდაც მხოლოდ ერთი პოლიციელი „დააფიქსირებს“, მიუხედავად იმისა, თუკი ათობით მოწმემ და ვიდეოკამერამაც კი სულ სხვა რამ დააფიქსირა;

● ის, რომ მის მიერ არჩეული ადვოკატი მას ვერ მონახავს, რადგან ძალოვანი სტრუქტურები პატიმრის ადვოკატთან დროულად შეხვედრის უფლებას ყოველნაირად ზღუდავენ და მერე მას სახაზინო ადვოკატს მიუჩენენ, რომლის ერთადერთი ამოცანა ის იქნება, რომ აღიარებით ჩვენებაზე ხელი მოაწერინოს და საპროცესო შეთანხმების მასშტაბებზე იჩალიჩოს;

● განუსაზღვრელი მასშტაბის ჯარიმა, თუ მისი ბიზნესი ვიღაცას თვალში მოუვიდა, ან თუ უბრალოდ მისი რაიონის საგადასახადო ინსპექცია თვიურ გეგმას ვერ ასრულებს;



# „ბრწყინვალება საქართველოში

## სწორია: „საქართველოს სახელმწიფო შესდგა!“

● დაპატიმრება და ფიზიკური შეურაცხყოფა, თუ შემთხვევით პოლიციის მაღალჩინოსნის საცოლის ან ცოლის ტელეფონზე გაუშვა ზარი;

● ნარკოტიკის ან იარაღის ჩადება და შესაბამისი მუხლით დაპატიმრება, ან „დევნა-დაპატიმრება“, თუ იგი მთავრობის ნაცვლად ოპოზიციის მხარდაჭერას გადაწყვეტს, ან თუნდაც საკუთარი შრომითი უფლებების დაცვას შეეცდება საპროტესტო მიტინგის ორგანიზებით;

● დაპატიმრება მხოლოდ იმიტომ, თუ იგი მიტინგზე მივა დროშით, ან ჩანთაში ექნება დეზოდორი თუ მინერალური წყლის ბოთლი, რომელიც „კანონმა“ შეიძლება თავდასხმის საგნად შერაცხოს;

● უსაზღვრო ძალადობა და დემონსტრაციული სისასტიკე პოლიციის მხრიდან, თუ პოლიცია მიტინგის დარღვევის ბრძანებას მიიღებს (რაც სულ არ არის ძნელი საქართველოს პირობებში);

● პოლიციელის ტყვია, თუ პოლიციელის მოთხოვნით მანქანა არ გააჩერა, და კრიმინალის სახელი სიკვდილის შემდეგ, თუ პოლიციელმა თავის გამართლების მიზნით მისი გვამის გვერდით იარაღის დადება გადაწყვიტა;

● კანონიერი გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია, დანგრევა ან იძულებითი ჩუქება მთავრობისათვის, თუ ამ უკანასკნელს ასე მოუნდა; ეს ყველაფერი ნოტარიულად ღამის საათებში გადაფორმდება, რადგან საქართველოში უკანონო გარიგებების გასაფორმებლად ნოტარიუსები ღამით მუშაობენ;

● ბინძური პასკვილების და ვიდეოფილმების გადაღება (პოლიციის მაღალჩინოსნების, ან სულაც მინისტრების დაკვეთით და სცენარისტობით) და მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიებით ტირაჟირება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ჯაშუშის იარლიყიც, თუ მოქალაქემ რაიმე ისეთი ფაქტი დაინახა, გადაიღო ან გამოაქვეყნა, რაც ხელისუფლების ბინძურ და ამორალურ სახეს ამჟღავნებს; ასეთ დროს უკეთეს შემთხვევებში ემუქრება საპროცესო გარიგება, რომელიც იმის მუქარას შეიცავს, რომ თუ იგი როდესმე ამ საქმეზე ხმას ამოიღებს, მას დაუყონებლივ დააპატიმრებენ;

● სამუდამო პატიმრობა, თუ მან პოლიციელს ან პოლიციელის ოჯახის წევრს შეურაცხყოფა მიაყენა;

● თუ იგი ციხეში აღმოჩნდა, უკეთეს შემთხვევაში – შიმშილი და გაუსაძლის სივიწროვეში ყოფნა, ხოლო საკმაოდ ხშირად – ციხის ადმინისტრაციის მხრიდან წამება, ტუბერკულოზით დაავადება და ნაადრევი სიკვდილი.

● სამუშაოს დაკარგვა, თუ მან თავისი ლოიალობა ვერ დაუმტკიცა მმართველ რეჟიმს, ან ისედაც, თუ მმართველი რეჟიმის საკუთარი მოგების გაზრდას მისი სამუშაო ადგილის შემცირების ხარჯზე გადაწყვეტს,

● კიდევ ბევრი რამ დაემუქრება, რასაც ნაციონალური მოძრაობის უსინდისო მამები და დედები, ან მის მიერ გამოზრდილი ლეკვები მალე დამატებით მოიფიქრებენ, რათა საკუთარი კეთილდღეობა ჩვეულებრივი, უბრალო მოქალაქეების უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გაზარდონ.

**საქართველოში დღეს ოფიციალური სტატისტიკით 24,000 პატიმარია (არაოფიციალური მონაცემებით – 30,000-ზე მეტი).** ამ მაჩვენებლით საქართველო, 100,000 მოსახლეზე პატიმართა ოდენობით მსოფლიოს ხუთეულში შედის. როგორც ზაზა შათირიშვილის ერთ-ერთ ინტერვიუში იყო აღნიშნული, ამდენივე პატიმარი იყო 1934-38 წლების პერიოდში ნაცისტურ გერმანიაში, სადაც 60 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. შესადარებლად ისიც შეიძლება ითქვას, რომ 2002 წელს საქართველოში 10,000-ზე ნაკლები პატიმარი იყო!

გარდა ამისა, იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც პირობითი სასჯელი აქვთ მისჯილი, სავარაუდოდ 25,000-50,000-ია (ზუსტი სტატისტიკა მთავრობის მიერ იმალება!), ხოლო ახლახან გამოქვეყნებული მონაცემებით მხოლოდ 2010 წელს საპროცესო გარიგებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში 112 მილიონი ლარი შევიდა! საპროცესო გარიგებების მახინჯ პრაქტიკაზე საქართველოს ახლახანს მიუთითა ევროსაბჭოს კომისარმა ადამიანის უფლებების სფეროში თომას ჰამარბერგმა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... ამ მითითებიდან ერთ კვირაში ხელისუფლებამ ფოტო-ჯაშუშების სკანდალური საქმე სწორედ საპორცესო გარიგებით „ჩაფარცხა“...

**ცალკე აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოს მოპყრობა ლტოლვილებისადმი.** იმდენი უსამართლობა, უკანონობა და ზოგადად არაადამიანურობა დააფიქსირა საქართველოს ხელისუფლებამ ამ მრავალჭირგადატანილი ადამიანების მიმართ, რომ არა მგონია, მორალური უფლება ჰქონდეთ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ რუსეთის მხრიდან ქართველი ლტოლვილების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე ილაპარაკონ და საჩივრები წერონ. როდესაც თავად ავეჯის გადასატანი უფანჯრო „კუნგით“ ამგზავრებ ქალებს და ბავშვებს 6-7-საათიანი მგზავრობით გადასახლების ადგილზე, არავითარი მორალური უფლება არ გაქვს, მტრული სახელმწიფოს მთავრობას შენი დევნილების „სკოტოვოზებით“ გამოყრაზე მიუთითო!.

**და აი, დავბრუნდი, იქ, საიდანაც დავიწყე,** რატომ ვერ მოიგო ჰააგაში სასამართლო საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ! იმიტომ რომ იქ არ შეიტანა, სადაც უნდა შეეტანა სარჩელი! და რატომ ვერ მიხვდა ქართული იურისპრუდენცია, რომელ სასამართლოში უნდა შეეტანათ სარჩელი? ნინო კალანდაძისგან კიდევ დავიჯერებდი ასეთ უმეცრებას, მაგრამ თინა ბურჯალიანი არ უნდა იყოს ასეთი დაბდური!!

საქმე ის არის, რომ იქ რომ შეეტანათ, სადაც ჯერ არს, ის სასამართლო მარტო რუსეთის მიერ განხორციელებულ დარღვევებს კი არ განიხილავდა 2008 წელს ლტოლვილი მოსახლეობის მიმართ – არამედ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ უკანონობებსაც! ამიტომაც „ქეც შეიტანეს“ ჰააგაში და „არც შეიტანეს“ – ანუ იქ შეიტანეს, საიდანაც, იცოდნენ, საქმის აღძვრაზე უარს მიიღებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ არც მათ პირშავობებს გამოიძიებდნენ!

ამით არის განპირობებული ჩემი ეს ანტიპატრიოტული მოწოდება – სანამ ეს მთავრობა ბოგინობს საქართველოში, აზრი არა აქვს იმის საჯაროდ განცხადებას, რომ საქართველოს მოქალაქეები ვართ – საზღვარგარეთ არც უფრო მოგვისმენენ, არც უფრო დაგვაფასებენ... პირიქით, შეიძლება დაგვცინონ, როგორც არშემდგარი ქვეყნის ნაწილს, სადაც პირველი პირი ჰალსტუხჭამია ცრუპენტელა ავანტიურისტია, ხოლო მთავრობა უსინდისო ყურუმსალების ბანდა...

შინ ძახილს კიდევ მით უფრო არ აქვს აზრი, რადგან არავინ ისეთ კარგ სამიზნეს არ წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებისათვის, როგორც საქართველოს მოქალაქე!

ხომ გახსოვთ, ვინ გადარჩა ფოტორეპორტიორების სკანდალის დროს ? – შაჰ აივაზოვი!

რატომ გადარჩა? – იმიტომ, რომ უცხოეთის სააგენტოს შტატიანი (SIC!) თანამშრომელია! ხოლო თუ უცხოეთის მოქალაქე იქნებოდა, ვერც კი დააკავებდნენ საერთოდ!

**შეცდომაა: „საქართველოს სახელმწიფო შედგა!“**

**სწორია: „საქართველოს სახელმწიფო შესდგა!“**

ალბათ ყველასთვის გასაგებია, ვის შესდგა ეს სახელმწიფო... ვის და – საქართველოს მოქალაქეებს.

და ისიც ადვილი მისახვედრია, რით შესდგა – პოლიციური სპეცნაზის ჩექმებით და უკანონო სასამართლო სისტემით.

სწორედ ეს რეჟიმია მთავარი წინააღმდეგობა იმისკენ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა საქართველოს მოქალაქეობის სარგებელი იგრძნონ!

ხოლო სანამ ეს არ მოხდება, საქართველო, როგორც ქვეყანა, ვერ შედგება!

**სოლომონ თერნალი.**

Presage.tv

## ინფორმაცია

### დევნილებს შევარდნაძისა და სააკაშვილის დროის დევნილებად ყოფენ

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია რეგიონებში შეხვედრებს განაგრძობს. ალასანია სენაკელებს და ამ რაიონში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა.

– სენაკელებს სურთ მუშაობა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ არა თუ ქმნის სამუშაო ადგილებს, არამედ პირიქით, საშუალო და მცირე ბიზნესზე ზეწოლით ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა სამსახურის პოვნა ვერ შეძლონ. ხელისუფლებას შვიდი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ჩვენს სოფელს, ჩვენს გლეხს ასე უჭირს, – განაცხადა ალასანიამ.

მისივე შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ აგრძელებს დევნილების დაყოფას შევარდნაძის დროინდელებად და აგვისტოს ომის დევნილებად, რაც ცინიკური და დაუშვებელია.

– „თავისუფალი დემოკრატები“ ვეცნობით პრობლემებს ადგილზე და ვაცნობთ ჩვენს პროგრამებს, თუ როგორ მოხდება სოფლის მეურნეობის განვითარება, უმუშევრობის დაძლევა და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება, როდესაც მოხდება ნაციონალური მოძრაობის შეცვლა არჩევნების გზით. – განმარტა ალასანიამ სენაკელებთან შეხვედრის შემდეგ.

### სახელმწიფო კომპანიების აქციათა ნაწილს საერთაშორისო ბირჟებზე განათავსებენ

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო კომპანიების აქციათა ნაწილს საერთაშორისო ბირჟებზე გაიტანს. როგორც გუშინ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, პრივატიზაციის მხრივ საკანონმდებლო ცვლილებებია, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს სახელმწიფო კომპანიების სააქციო პაკეტები საერთაშორისო ბირჟებზე განთავსდეს.

– დღემდე ამის შესაძლებლობას არსებული რეგულაციები არ გვაძლევდა და გვინდა განვიხილოთ შესაძლებლობა აქციათა 15-20 %-ის განთავსებისა, ლონდონისა და ვარშავის ბირჟებზე, როგორიცაა „საქართველოს რკინიგზა“, „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და სხვა სახელმწიფო კომპანიები, – აცხადებს ნიკა გილაური.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, აქციათა საერთაშორისო ბირჟებზე განთავსება საქართველოს საშუალებას მისცემს დიდი რაოდენობით ახალი კაპიტალი მიიზიდოს.

– ეს ყველაფერი კი სტიმულს მისცემს კერძო კომპანიებს, რომ იგივე გააკეთონ და ქვეყანაში დამატებითი კაპიტალი შემოიტანონ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებას. საერთაშორისო ბირჟებზე დღეს სახარბიელო ვითარება არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსადმი ნდობა შემცირებული არ არის. პირიქით, გაზრდილია და საქართველოს ფასიანი ქაღალდები კიდევ უფრო კარგად იყიდება, – აღნიშნა ნიკა გილაურმა.

### №2 სამშობიარო სახლი კომპანია „ნიუ ლაიფმა შეიძინა

„თბილისის №2 სამშობიარო სახლის“ მფლობელი კომპანია „ნიუ ლაიფი“ ხდება. „თბილისის №2 სამშობიარო სახლის“ გასხვისებაზე გუშინ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს.

კომპანია სამედიცინო დაწესებულებაში 1,5 მლნ. ლარს გადაიხდის. ინვესტორი ვალდებული იქნება, ასევე სამედიცინო დაწესებულებას შვიდი წლის განმავლობაში პროფილი შეუნარჩუნოს და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვოს.

„ნიუ ლაიფი“ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2011 წლის 5 აგვისტოს. კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელია შპს „ჯანმრთელი ცხოვრება“, დირექტორი კი ელენე გიორგაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 149. ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 2011 წელი.

**ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში ჩასულმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ასე მიმართა თავის რუს კოლეგას, დღეს ნეტარხსენებულ ალექსი მეორეს:**

**„ქართველი რომ გაიღვიძებს, ჯერ მზეს შეხედავს და მერე მეზობელს“.**

**ე.ი. ქართველი კაცისთვის მზე და მეზობელი სიცოცხლის მანათობლებიაო. პატრიარქის ყოველი სიტყვა სიბრძნეა, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე. აქ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“, – ხალხს უთქვამს ასე.**

**ქართულ ზნე-ჩვეულებებში მეზობლობისა და თანადგომის ინსტიტუტი განსაკუთრებულ სიმაღლეზეა ასული.**

ქართულ სუფრასთან ერთ-ერთი უპირველესი იყო და არის დღესაც მეზობლის სადღეგრძელო. ისტორიულად ჩვენს ქვეყანას მეზობელი ქვეყნებისაგან მტრობა, აოხრება და წიოკი მეტი უნახავს და უგემნია, ვიდრე თანადგომა, და მაინც, საიდან გაჩნდა, განივრცო და დამკვიდრდა ერში მეზობლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და მიმტევებლობა„ ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია – დიდი რუსთველის ეს ფრაზა ქართული სულისა და აზრის, სინდისისა და მრწამსის ამოძახილია.

ქართველ კაცს ყველაფერი განსაკუთრებული უცხოსათვის ჰქონდა შემონახული, აქედან გაჩნდა სიტყვა „საუცხოო“.

მეზობლისადმი და უცხოსადმი ასეთ დამოკიდებულებას სხვა ერში ვერ ნახავ.

ვერ ნახავდი.

დღეს ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული ყმაწვილები არაფრად დაგიდევენ ერის კულტურას, ზნეობას, ტრადიციებს... იმიტომ რომ მათი უმრავლესობა გაურკვეველი წარმომავლობისაა და იმათ გულსა და გონებაში, შესაბამისად ლექსიკაში, სამშობლოს ცნება და განცდა არ არის.

ბოღმამ, შურმა და მტრობამ რაც მოგვიტანა, სახეზე გვაქვს. 2008 წლის აგვისტოს ორდღიანმა ომმა ასობით პირტიტველა მზეჭაბუკი და საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი შეიწირა.

მგონი, არავინ ჩამითვლის მიკერძოებად, თუ ვიტყვი, რომ აღორძინების ხანა სწორედ საქართველოდან დაიწყო. მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა მხატვრულ-ფილოსოფიური აზრის ხელთუქმნელი ძეგლი – „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის მაღალი ჰუმანურობისა და ზნეობის („მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ძ, იმ დროისათვის უცხო და მიუღებელი ქალისა და კაცის თანასწორობის („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“ძ, დიპლომატიის („გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ძ, სიყვარულისა და მეგობრობის („ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ძ უბადლო ჰიმნი.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, – თქვა და საუკუნეებს გადაწვდა. გავიდა შვიდი საუკუნე და 1809 წელს ამერიკაში დაიბადა აბრაამ ლინკოლნი – პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, შემდგომში ამ ქვეყნის ლეგენდარული პრეზიდენტი.

„მე ვსპობ ჩემს მტრებს, მე მათ მეგობრებად ვაქცევ“, – თქვა მან.

ორმა დიდმა მოაზროვნემ სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კონტინენტზე ერთი და იგივე ჭეშმარიტება ბრძანა.

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“, – საუკუნეების სიღრმიდან მოდის ეს ქართული ხალხური მარადიული ჭეშმარიტება, ეს უფალთან მიახლოებაა – „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“.

თამარ მეფემ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული სამეფოს მონარქმა, აღჭურვილმა ერთპიროვნული მართვის ყველა უფლებით, მსოფლიოში პირველმა შექმნა დარბაზი, იგივე პარლამენტი, სადაც საჯაროდ განიხილებოდა ქვეყნისათვის ყველა საჭირბოროტო საკითხი.

ეს გახლდათ თავისუფალი აზრისადმი პატივისცემის მაღალი გამოხატულება.

მხოლოდ საუკუნის შემდგომ, 1215 წელს, ინგლისში, ედმონდის სააბატოში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა ქარტია“, რომელიც „თავისუფლების ქარტიად“ მოიხსენიება.

„ხელისუფლება უნდა მართავდეს ქვეყანას მაღალი ზნეობისა და მორალის პრინციპებით და არა ძალის გამოყენებით“, – ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუცის შეგონებაა ეს.

„მე შეიძლება არ ვემხრობოდე შენს აზრებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მათი გამოთქმის უფლება არავინ წაგართვას“, – წერდა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მწერალი და მოაზროვნე შარლ არუე, იგივე ვოლტერი.

მე შეგნებულად და მიზანმიმართულად მოვიტანე აქ დიდ მოაზროვნეთა გამონათქვამები.

გენიოსები ყველა დროში თანამედროვენი არიან.

მხოლოდ თავისუფალ აზრს შეუძლია ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს განვითარება. სადაც აზრთა ჭიდილია, იქ იბადება ჭეშმარიტებაც.

საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგაო, გვიმტკიცებს ჩვენი ხელისუფლება და ამას ამბობს 2008 წლის სამარცხვინოდ წამოწყებული ომის სამარცხვინოდ დამთავრებისა და ქვეყნის მეხუთედის დაკარგვის შემდეგ.

ერთი შეხედვით თითქოსდა ყველაფერი რიგზეა ამ მხრივ.

სახელმწიფო სტრუქტურები არის, სახელმწიფო – არა. პარლამენტი ერთი კაცის ჯიბისაა, მთავრობა – ჯიბისაა, აჭარის ხელისუფლებაც იმ ერთი ჯიბისაა.

ერთი სიტყვით, კონსტიტუცია არსებობს, კონსტიტუციური – არა.

2005 წლის 17 ოქტომბრის გაზეთ „ცისკრის“ ფურცლებზე რუბრიკით „ათი შეკითხვა ქართველ მწერალს“, გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ.

ჟურნალისტის შეკითხვას, როგორი სახელმწიფოა დღეს საქართველო – დამოუკიდებელი, კოლონიური, ნახევრად კოლონიური, რას დაარქმევდით დრევანდელ რეჟიმს – დემოკრატიულს, დიქტატორულს, კრიმინალურ-მაფიოზურს? – ვპასუხობ:

„ჯერ გავარკვიოთ, არის თუ არა საქართველო სახელმწიფო“.

სახელმწიფოს, უპირველესად, სახელმწიფო საზღვრები უნდა ჰქონდეს, მკვეთრად გამიჯნული და დაცული. გვაქვს?

დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. გვაქვს?




დამოუკიდებელი სასამართლო უნდა ჰქონდეს. გვაქვს?

ეროვნული ეკონომიკა უნდა ჰქონდეს, უპირატესად, ექსპორტზე გათვლილი. გვაქვს?

სახელმწიფო საკუთარ მამულს, ენას, ერს უნდა იცავდეს. იცავს?

სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უნდა იცავდეს. იცავს?

საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ოჯახებში, საკუთარი მოქალაქეების ადამიანურ უფლებებს უნდა იცავდეს. იცავს?

ერისა და ქვეყნის ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში გამომტარებელ სარწმუნოებასაც უნდა იცავდეს, იცავს?

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო საკუთარი ძალოვანი სტრუქტურებისაგან საკუთარ პრემიერ-მინისტრებს ხომ მაინც უნდა იცავდეს. იცავს?

ვართ ჩვენ სახელმწიფო?!“

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ჩემ მიერ მოყვანილი პუნქტებიდან რომელიმე მაინც თუ დაღებითად გადაწყდა, მითხარით და ბოდიშს მოვიხდი.

ხალხი გრძნობს, ხედავს და განიცდის, რომ ქვეყანა ხელიდან ეცლება. საუკუნეებით ჭირსა და ვარამში გამოტარებული და დღევანდლამდე სიმწრით მოტანილი მამული იყიდება, ჩანაგდება, იძარცვება, ენა ქართული, ენა რუსთველის, ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას და გალაკტიონის ხელისუფლებაში მოსული საეჭვო წარმომავლობის ჩინოსნებისაგან ულვთოდ იდევნება, ირყვნება, მცირდება, კნინდება... ინერგება ჩასაფრების, დასმენის, დაბეზღების, ჩაშვების, დაშინებისა და დევნის უსინდისო და უზნეო პოლიტიკა.

სახალხო კრება – ერთადერთი სრულიად ეროვნული გაერთიანება, უშიშრად და ღიად ალუდგა წინ ხელისუფლების აღვირახსნილობას.

„მიეცით ადამიანებს იმდენი, რამდენიც მათ საარსებოდ ეყოფათ და ისინი პირუტყვებად გადაიქცევიან“, – წერდა შექსპირი.

ჩვენთან მოსახლეობის 80 %-ს საარსებო მინიმუმიც არ გააჩნია.

როგორ არ მინდა, რომ მართალი იყოს გენიალური ინგლისელი დრამატურგი. ჩვენთან მიმართებაში მაინც, მაგრამ... როცა ერი და ბერი ერთად უნდა დავმდგარიყავით ქვეყანაში გამეფებული უმსგავსოების წინააღმდეგ, ბათუმშიცა და თბილისშიც ხალხის უმნიშვნელო რაოდენობა გამოვიდა.

იქნებ, სახალხო კრებაა ამაში დამნაშავე? იქნებ რაღაც ვერ გავაკეთეთ ისე?

უფრო ადრე ბათუმის კულტურისა და დასვენების პარკის ერთი ნაწილი ხელისუფლების განკარგულებით რომ გაჩეხეს, უნიკალური ხეები დაგლიჯეს და დახერხეს, მოსახლეობაში მაშინვე გაჩნდა უკმაყოფილება. ქალაქი აღშფოთებული იყო. აჭარაში მოქმედმა ყველა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა ღია პროტესტი. პარკის დასაცავად კი ხალხის სულ უმნიშვნელო რაოდენობა შეიკრიბა. პოლიციასთან შეტაკებაც მოხდა. მომდევნო დღეებში სულ უფრო მცირდებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობა...

ჩვენ, ცხადია, არ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება შეისმენდა ხალხის გულისწყრომას და პარკს შეეშვებოდა. ვიცოდით, რომ დავალება ზემოდან მოდიოდა, ძალიან ზემოდან, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთ.

გულსატკენი იყო, პარკის წინ მცხოვრები მოსახლეობა, ვინც ყოველდღე იმ ხეების ჩრდილში ატარებდა დროს, ფანჯრებიდან უყურებდა ჩვენს მცდელობებს.

ვიცოდით, ვერაფერს გავხდებოდით, მაგრამ ყველა პარტია თუ არასამთავრობო გაერთიანება ერთად დავდექით უნიკალური პარკის დასაცავად. ყველაზე აქტიური აქაც სახალხო კრება იყო.

ვიცოდით, რომ 21-22 და 25-26 მაისის აქციებით ხელისუფლებას ვერ გავისტუმრებთ, მაგრამ სახალხო კრება მაინც გამოვიდა. იმედი გვქონდა, სხვა პარტიებიც შემოგვიერთდებოდა. სამწუხაროდ, არც ბათუმში და არც თბილისში არ მოხდა ასე.

რაიონებიდან ჩამოსული ხალხი სჭარბობდა.

ქალაქელთა დიდი ნაწილი სახლებში ჩაიკეტა და ტელევიზორით სურდა სიახლის გაგება.

„ვაი, იმ ქვეყანას, სადაც თითოში ყველა არ არის და ყველაში – თითო. სადაც „მე“ სჭარბობს „ჩვენს“, – წერდა ილია.

ხელისუფლებაში დავანებულთათვის სამშობლოს ცნება, ერი და ეროვნული ღირებულებები, ჩვენი დიდი ისტორია, ტრადიციები, ლიტერატურა, კულტურა, ყველაფერი ქართული, მათ შორის დედაენა და დედაც კი, საქილიკო და სალლაზუცოა.

ამათ სძულთ ქართველი ერი. სძულთ და ეშინიათ. რომ შეეძლოთ, ერთიანად გაგვწყვეტენ, გაგვჟუჟავენ, სინსილას არ დატოვებენ. აკი ხელისუფლებაში მოსვლიდანვე ახორციელებენ ამას. მაისის მოვლენებმა ყველა ზღვარს გადააბიჯა. რომელი შენი თემურლენგი და ალამაჰმადხანი, ჯალალედინი და შაჰაბაზი. ისინი უცხო ქვეყნებს ებრძოდნენ საკუთარის სადიდებლად. რაც ამათ რამდენიმე წელიწადში ქვეყანას აწვნიეს, ასწლეულებში ვერ მოახერხეს იმათ.

და თუ ბრმა სიძულვილით ავენთებით, ამ ხელისუფლებას დავემსგავსებით.

„უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, – ისევ რუსთველს ვესესხები.

ხალხში შიშია გამჯდარი. ისე ეშინიათ მომავლისა, რომ რწმენა დაკარგული აქვთ.

სხვა რომ მოვა, უკეთესი იქნება? – გულის კანკალით კითხულობენ.

ქართველს ქართველისა აღარ სჯერა. აი, რას მიაღწიეს ამათ.

შიში ცუდი მეგზურია. შიშით ქვეყანას ვერ გადაარჩენ.

მაისის დღეებში ბათუმსა და თბილისში ქვეყნისათვის გულანთებული ვაჟკაცები და ქალბატონები გამოვიდნენ.

„Безумству храбрых поем мы песню“, – ეს სტრიქონები გორკისაა. „სიმღერა ქარიშხალაზე“ ჰქვია ამ ნაწარმოებს. „მამაცთა სიშლეგეს ვუმღერთ ჩვენ სიმღერებს“, – ასე ითარგმნება იგი.

მეთექვსმეტე საუკუნის იტალიელი ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ ერეტიკოსად შერაცხა და კოცონზე დაწვა მიუსაჯა. ბრუნომ გაუსწრო თავისი დროის კოსმოლოგიურ შეხედულებებს. მან გამოთქვა მოსაზრება იმ დროისათვის უცნობი პლანეტების არსებობის, მზისა და ვარსკვლავების ღერძის გარშემო ბრუნვის შესახებ.

კოცონზე შემდგარს, კიდევ ერთხელ მიმართეს, უარეყო თავისი ანტირელიგიური შეხედულებები. ჯორდანო ჩაფიქრდა. „მაინც ბრუნავს!“ – თქვა და მარადიულობაში გაფრინდა.

სხეული დაიფერფლა, სული კი ამაღლდა და განივრცო.

არ ვიცით, ვინ იყო მაშინ იტალიის ხელისუფალი. არცაა ეს საინტერესო, მაგრამ, იდეას შეწირული ვაჟკაცის ჯორდანო ბრუნოს სახელი მარადიულობის საკუთრებაა.

დიმიტრი მეორე მონღოლთა ურდოში დაიბარეს. სამეფო საბჭომ ურჩია, არ წასულიყო, რადგან უეჭველი სიკვდილი ელოდა. მეფე არ დაეთანხმა – თუ არ წავალ, ერს გაგვიჟლეტენო.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავდადებული უწოდა მეფე დიმიტრი მეორეს.

მღვდელმა თევდორემ ტყე-ღრეში ატარა თურქთა ლაშქარი. გზა აუბნია, რათა ქართველობა მომზადებულიყო მტრის დასახვედრად. მტრებმა იგი აწამეს და აკუწეს.

მარადიულობის, გმირობის, თავდადების სიმბოლოდ იქცა მისი სახელი.

სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ქეთევან წამებული, პაატა სააკაძე... რამდენის ჩამოთვლა შეიძლება, ვინც მამულისათვის, ქვეყნისათვის, სარწმუნოებისათვის თავი დადო. ყველა მათგანმა იცოდა, რაც ელოდა, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა სინდისი და ზნეობა დააყენა.

„არწივს შეუძლია, ქათამზე დაბლა დაფრინდეს, ქათამი კი ვერასოდეს ასწვდება ღრუბლებს“, – აღმოსავლური სიბრძნეა ეს.

მაისის აქციებში მონაწილენი გმირები არიან.

1982 წელს დავწერე პოემა „ძახილი“. ეს იყო ჩემი პირველი პოეტური ნაწარმოები შვიდი პროზაული წიგნის შემდეგ.

„სულით და ხორცით უთვისტომო, უცხო სხეული, უმართავი, უმაძღარი, უშნო, გრძნეული, კაცი ზონზროხა და ჭკუამრუდი პატიოსნების მაგიდას უზის“, – ვწერდი და თავადაც არ ვიცოდი რა მაწერინებდა ამას.

**ვიცი, საიდან, როგორ მოხვედი,**
**მაგრამ არ ვიცი, საით მიდიხარ...**
**შენზე დარდი და ფიქრი ყოველი,**
**სავსეა ჩემი მზით და მიწითა.**
**საუკუნეთა უწყვეტი ჯარა,**
**ვინ იცის, რამდენ ჯვარცმას გითვლიდა,**
**შორს, მომავალში წასული შარა**
**მორწყულა ცრემლით, ოხვრით, სისხლითა.**
**კვლავაც მრავალი ჯვარცმა მოგელის**
**შენივ ღალატის, ბეზღის ნიჭითა**
**და კვლავაც მოჰკვეთს მსახვრალი ცელი**
**მარჯვენს მამულის ერთგულ ბიჭისა,**
**კვლავაც მრავალჯერ იწივლებს ტყვია,**
**ნასროლი შენივ ჯიშის ლულიდან**
**და შეუყვები დრო-ჟამის ტრიალს**
**შენივე ყოფნის დასასრულიდან.**

ესეც ერთი ნაწყვეტია პოემიდან.

გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ისეთი დღე მაყარეს, ინფარქტი გარდაუვალი გახდა.

ვწერდი „ძახილს“ იმედით, რომ ვინმე გაიგონებდა და შეისმენდა ჩემს „ხმას მღაღადებლისას“...

ვწერდი, რადგან სხვანაირად არ შემეძლო.

პოემაში გათქმულმა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყო გაცხადება და სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ვიყავი და ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ სიყვარულით მივლია. სიძულვილი ვერ ვისწავლე.

სიყვარული გადაარჩენს საქართველოს, სიყვარული მამულის, ენის სარწმუნოების.

მამულს გვართმევენ და გვიყიდიან, ენას ბილწავენ და რყვნიან, სარწმუნოებას ბღალავენ. ბოლო დღეების მოვლენებმა, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ვთხოვ, მოვუწოდებ ერსა და ეკლესიას, ჯვარი აღვმართოთ მაღლა და დავდგეთ ერთად სამშობლოს გადასარჩენად. სხვა გზა არ დაგვიტოვეს ამათ.

სიყვარული და თავდადება სჭირდება მამულს, ენას, სარწმუნოებას.

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!“ – ზეციური გზაა ეს. გზა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვიყვანს.



**ვახტანგ ახვლედიანი,**
**მწერალი, საქართველოს სახალხო კრების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე.**
**ქ. ბათუმი.**

***რედაქციისგან: 11 აგვისტო ბატონ ვახტანგ ახვლედიანის, ამ ჩინებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დაბადების დღეა, ჩვენი რედაქცია სულითა და გულით მიესალმება შავზღვისპირელ ბატონ ვახტანგს და უსურვებს კიდევ დიდხანს შერჩენოდეს ამჟამინდელი ზღვისებრი პოეტური მღელვარება.***

გლობუსი

**ისტორიაში იშვიათად მოიძებნება ხელისუფლება, რომელსაც შარი ხეირად ქცევია. ამ იშვიათთა შორის საქართველოს პრეზიდენტი და მისი ხელისუფლებაა. სამი წლის წინანდელმა ავანტიურისტულმა გამოხდომამ ცხინვალის ომის სახით მათ არა მარტო მსოფლიო აღიარება მოუტანა, არამედ მატერიალური კეთილდღეობაც. სამწუხაროდ ფორტუნა ერთი და იგივე საქმეში ყველას არ ულიმის. ხელისუფლების მიმართ ღიმილის ფონზე, ერთობ მოღუშული, ქვეყანა აღმოჩნდა.**

# რა ახალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს ხელისუფლება მეოთხე წლისთავზე?

2008 წლის აგვისტოს ომმა კარდინალურად შეცვალა საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება, ცხადია უარესობისაკენ. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ისედაც მცირე ტერიტორიიდან (70 000 კვ.კმ-ძ 20 პროცენტს ჩამოგაჭრიან.

აგვისტოს ომმა ასევე კარდინალურად შეცვალა კავკასიის გეოპოლიტიკური ვითარება – საქართველოს დაქუცმაცების და მისი ტერიტორიიდან ორი დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნის სახით.

აგვისტოს ომმა სამხრეთელ მეზობელ თურქეთს, მანამდე უფრო მეტად ეკონომიკურ თამაშებში გართულს და დიდთა პოლიტიკური თამაშის შემყურეს, პოლიტიკურ თამაშებში ჩართვის საფუძველი გაუმყარა.

აგვისტოს ომმა არანაკლები სარგებელი მოუტანა მეორე მეზობელს, რუსეთს. საქართველოს ხელისუფალთა ნაბიჯი მისთვის ისეთი ნობათი გამოდგა საუკუნეთა განმავლობაში, რომ ნატრობდა და მიზეზთა გამო ვერ ახერხებდა მის მიღებას.

აგვისტოს ომმა ფაქტიურად ორ დიდ სახელმწიფოს შორის გაყო ქვეყნის ტერიტორია. გაყოფილ ტერიტორიებზე ნათლად ჩანს ორივეს სამხედრო ხელი – ერთში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – აშკარად, დარჩენილ მეორეში – ფარულად.

აგვისტოს ომმა დააბრუნა ორი რუსული სამხედრო ბაზა – სტამბოლის შეთანხმებით გაუქმებული, თუმცა სხვა გეოგრაფიული მდებარეობით.

აგვისტოს ომმა განამტკიცა აშშ-ის გავლენა ოფიციალურ თბილისსა და დარჩენილ ტერიტორიაზე, რომელსაც ჯერჯერობით საქართველო ჰქვია, თუმცა ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნით, საზღვარგარეთ, ნაცვლად „გრუზიისა“, საქართველოს „ჯორჯია“ შეიძლება ეწოდოს. რატომ „ჯორჯია“ და არა საქართველო?!

აგვისტოს ომმა კავკასიის ლიდერად თავისთავად წარმოშვა აზერბაიჯანი და არა მარტო იმიტომ, რომ მას ნავთობი და გაზი აქვს. ბალანსირებულმა პოლიტიკამ აქცია ის ლიდერად.

აგვისტოს ომმა განამტკიცა რუსეთის იმიჯი მთელს მსოფლიოში (შიში შეიძლს სიყვარულსაძ, მანამდე ეჭვქვეშ დაყენებული დასავლეთის მიერ. აშშ-მა, ევროპამ, ყველამ ვისაც ომამდე არ სჯეროდა რუსული სამხედრო მანქანის ამოქმედების – დაიჯერა, რომ ის არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს.

აგვისტოს ომმა ხელისუფლებას საგრძნობი დივიდენდები მოუტანა. მათგან განსაკუთრებით საგულისხმოა აშშ-ის და ევროკავშირის 4,5 მილიარდ დოლარიანი დახმარება, რაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უზომოდ დიდია. სწორედ ამ უზომო თანხის მიღებამ და საკუთარ სურვილისამებრ გაუმჭვირვალე ხარჯვამ გაალაღა ხელისუფლება.

აგვისტოს ომმა დასავლელთა სისტემატური PR-ით საქართველო აქცია მგლის წინაშე დარჩენილ უმანკო კრავად. ანტირუსული ისტერია დღესაც გრძელდება, თუმცა ნაკლები ეფექტით. მსოფლიომ დაინახა ვინ, ვინ არის და ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ ტალიავინის მეთაურობით, მაგრამ კომისიის დასკვნა სპეციალისტთა დონეზე რჩება, რაც შეეხება ფართო საზოგადოებას – ის ჯერაც საქართველოს ხელისუფალთა სასარგებლო PR-ის გავლენის ქვეშაა. დიდი ფინანსური ინექციების საშუალებით საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა ისეთი საერთაშორისო კლიმატის შექმნა, სადაც უცხო არ არის სინამდვილის სიყალბით გაბათილება, წაგებული ომის მოგებულად გამოცხადება.



სამი წლის განმავლობაში, დიდი ფულის ხარჯვით, საქართველოს ეკონომიკა ყველაზე წარმატებულად ჩაითვალა მსოფლიოში. გაბრიყვებული მსოფლიო მიღწეული წარმატებების შესასწავლად საქართველოში ჩამოდის. საქმეში ჩაუხედავთათვის, პატარა ქვეყნისათვის, თანაც სუპერ სახელმწიფოსთან ომგადახდილისათვის დაუჯერებელია ასეთი ეკონომიკური ნახტომი.

საქართველოს, დღეს, გაცილებით მეტი იცნობს, ვიდრე ომამდე, მაგრამ მის პრეზიდენტს კიდევ უფრო მეტი, ვიდრე საქართველოს. პრეზიდენტისთვის კარი ყველგან ღიაა, ის ყველგან სასურველი სტუმარია – გალა საღამოების თუ ინაუგურაციის ცერემონიალების.

**ტალიავინის კომისიის დასკვნის კითხვას ყურადღების კონცენტრირება ესაჭიროება. საქართველოს ხელისუფალთა შეკვეთით, ჰოლივუდის მიერ გადაღებულ „ბოევიკს“ – „აგვისტოს 5 დღე“, მხოლოდ ორი საათი, რის შემდეგ ურწმუნო თომაც დარწმუნდება, რომ ომი რუსეთის მიერ მრავალი წლის განმავლობაში იგეგმებოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მშვიდობისმოყვარე, ავანტიურისგან შორს მყოფი პოლიტიკოსია – დაფიქრებული, სერიოზული, სამშობლოს ძნელბედობის ჟამს საკუთარ ჰალსტუხსაც რომ არაფრად აგდებს.**

საქართველოს შესახებ საერთაშორისო არენაზე აგორებული სარეკლამო კლიპი უდიდესი ზეგავლენით მოქმედებს ქვეყნის მოსახლეობაზე. სახელმწიფო ტელევიზიები მიზანმიმართულად აბრიყვებენ საზოგადოებას, რომ ცხოვრება საამურია, რომ საქართველო წარმატებულია, რომ დღეს თუ არა ხვალ, ჰა, ჰა, ზეგ სინგაპურად გადავიქცევით, რომ ტურიზმის პოტენციალით ქვეყანას ბადალი არ ჰყავს, რომ ჩვენისთანა რეფორმები არსადაა და ა. შ. და რაც მთავარია, დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს. პოლიტიკოსების მტკიცებით დაკარგულის დაბრუნება აუცილებლად მოხდება, ვინაიდან მათი დაბეჯითებული შრომით მსოფლიო უკვე დარწმუნდა რუსეთის ავაზაკობაში, მსოფლიომ დაინახა, რომ გათავხედებული რუსეთი მისი მშვიდი ცხოვრების უპირველესი მტერია და თუ მის ბოგინს წერტილი არ დაესმება, მსოფლიო დაიღუპება.

ქართველ პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა მტკიცებით ასე და ამრიგად მსოფლიო გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ. აშშ-ის სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით თავისთავად მიანიშნებს წაღებულის უკან დაბრუნებასო – ამბობენ ისინი. მათი აზრით ამერიკელ სენატორებს უპირველესად ვინც უნდა გამოეხმაუროს ევროპა უნდა იყოს. მან თვალი უნდა გაახილოს და არაფრად ჩააგდოს რუსეთთან არსებული ეკონომიკური კავშირები – რა დროს ესაა, როდესაც ურჩხულს ქართული ტერიტორიები უკავია. ევროპამ საქართველოს გამო რუსეთი იზოლაციაში უნდა მოაქციოს. ახია მასზე. აბა რა ეგონა, მიწებს რომ გვტაცებდა?!

ოფიციალური თბილისის მტკიცებით ცხრა მთას იქით არ არის დრო, როდესაც საქართველოს გადასარჩენად გაერთიანებული მსოფლიო, კლასის მკაცრი დამრიგებელივით, კუთხეში დააყენებს რუსეთს... ოღონდ ერთია – ამ ოპტიმიზმს წამითაც არ იზიარებს რუსეთის პრეზიდენტი. ამას წინათ ჟურნალისტებთან გამართული ინტერვიუს დროს მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ამერიკის სენატის რეზოლუცია უსაფუძვლოა და ზოგიერთი ხანშიშესული სენატორის სუბიექტური მოსაზრებით არის გამოწვეული, რომ უცხო ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილება მისთვის კანონი არ არის. მედვედევმა პროვოკაციად მიიჩნია თბილისში, აშშ-ის საელჩოს კედელთან აფეთქებული ბომბის ისტორია. მან ასევე ისურვა სააკაშვილის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემა.

**თბილის-მოსკოვის ცხელი აგვისტოს ასევე ცხელი ვერბალური ჭიდილი, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად ამერიკელი პოლიტიკოსები და მედია იყო ჩართული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს უბრალო ჭეშმარიტებაზე – განავლის ქექვას სუნი მოჰყვება. გავიხსენოთ 2008 წლის ომამდელი ვითარება – თბილისის მიერ გადადგმული მწვავე, გამაღიზიანებელი, პროვოკაციული ქმედება და განცხადებები. შედეგი – 2008 წლის აგვისტოს ომი. 2011 წლის 7-8 აგვისტომდე არსებული მოვლენები წყლის წვეთებივით წააგავს 2008 წლისას, თუმცა მას ომი არ გამოუწვევია, უფრო მეტიც მედვედევმა ინტერვიუს დროს გამოკვეთილად განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან ომს ადგილი არ ექნება.** მაგრამ არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რაც 2008 წლის ომის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, ამჯერად არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ – სიტყვით. ამერიკის სენატის გადაწყვეტილებამ უზომოდ გაალიზიანა რუსული ტანდემი და პრემიერ-მინისტრმაც არ დააყოვნა – შეკითხვაზე შეიერთებს თუ არა რუსეთი სამხრეთ ოსეთს, მან უპასუხა, რომ ეს იქაური მოსახლეობის გადასაწყვეტია. ჰოდა ამ მარტივ საქმეს რაღა უნდა, როდესაც რახანია სამხრეთი, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას ითხოვს. მართალია პრეზიდენტმა მედვედევმა კი თქვა, რომ ამჟამად ამის არც იურიდიული და არც ფაქტიური საფუძველი არ არსებობს, მაგრამ სათქმელი ითქვა, თანაც ისეთი, რასაც ბოლო 20 წლის განმავლობაში არასდროს ჰქონდა ადგილი, რომ იტყვიან ზოგჯერ თქმას არათქმა სჯობსო, მაგრამ იცის იმის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ? სამი წლის თავზე მან, ამ შემთხვევაშიც ამერიკელი სენატორების წყალობით ათქმევინა რუსეთის ხელმძღვანელობას სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების შესაძლებლობაზე. რა ახალ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს საქართველოს ხელისუფლება მეოთხე წლისთავზე – ღმერთმა იცის.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

კონტაქტები

## „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ ქართველებსა და აფხაზებს აახლოებს

ზუგდიდის რაიონის ენგურსგაღმა მდებარე სოფელ ხურჩაში, საქართველოში ლიტვის საელჩოს დაფინანსებით, მორიგი შეხვედრა გამართა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი – რეზო ბენდელიანი). შეხვედრას ესწრებოდნენ ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლები, ენგურს გაღმა-გამოღმა მცხოვრებნი.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებასთან ერთად შეხვედრის მთავარი თემა იყო ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობისთვის ხელშეწყობა. აფხაზური მხარე დიდ დაინტერესებას იჩენს ამ საკითხთან. არის მცდელობები, რომ ენგურისპირა სოფლებში გაიხსნას ერთობლივი საწარმოები. ერთი ასეთი ქართულ-აფხაზური ერთობლივი საწარმო – წიწილების ფერმა უკვე არსებობს სოფელ განმუხურში. „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ინიციატივითა და ძალისხმევით 10-მდე აფხაზი ბავშვი დაისვენებს ბათუმში თავიანთი აფხაზი და ქართველი ნათესავების ოჯახში.

– 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რის გამოც ძველი მეთოდებითა და ხედვით ურთიერთობა ვერ გაგრძელდება. ამიტომაც შემუშავებული გვაქვს ახალი მეთოდები, ახალი ხედვა ამ ორი ერის დაახლოებისათვის, რაც, იმედია, გამოიღებს სასურველ შედეგს, – აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

## მორიგი შეხვედრა ხურჩაში

არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“ (ხელმძღვანელი – ალუ გამახარიაძ სოფელ ხურჩაში მორიგი შეხვედრა გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებიდან გადმოსული აფხაზი მეწარმეები. მათ შეხვდნენ და ესაუბრნენ ექსპერტები კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე და გია ვოლსკი.

შეხვედრისას ხაზი გაესვა ენგურსგაღმა მდებარე სოფელ ხურჩის მნიშვნელობას, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სადაც შესაძლებელია, შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთობლივად წარმართონ ბიზნეს-საქმიანობები.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდიდან

ინფორმაცია

## მედვედევს აშკარად ეტყობოდა დიდი ანტიპათია მიხეილ სააკაშვილის მიმართ

**„რაშა თუდეის“ ჟურნალისტის სოფო შევარდნაძის აზრით, „პიკისთვის“, „რაშა თუდეისთვის“ და „ეხო მოსკვისთვის“ დიმიტრი მედვედევის მიერ მიცემული ინტერვიუ პასუხი იყო იმ ინტერვიუზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა „ეხო მოსკვის“ მისცა.**

**როგორც „ყველა სიახლისთვის„ მიცემულ ინტერვიუში სოფო შევარდნაძე აცხადებს, მედვედევის პრესსამსახური რისკზე წავიდა, რადგან არ იცოდა, რა კითხვები იქნებოდა დასმული რუსეთის პრეზიდენტის მისამართით.**

**– მიმაჩნია, რომ ეს მედვედევის საპასუხო საქციელი იყო იმ ინტერვიუზე, რომელიც სააკაშვილმა მანამდე „ეხო მოსკვის“ მისცა. ასე იმიტომ მგონია, რომ მოითხოვეს, მედვედევის ეს ინტერვიუ ქართულ ტელეარხებსაც ეჩვენებინათ. სააკაშვილის ინტერვიუ ხომ რუსულ არხ „ეხო მოსკვიზე გაუშვეს?, – აცხადებს სოფო შევარდნაძე.**

**მისივე თქმით, არც ერთ ჟურნალისტს არ ჰქონდა ილუზია, რომ მედვედევი საქართველოზე და რუსეთ-საქართველოს ომზე სხვა რამეს იტყოდა. ჟურნალისტის აზრით, მედვედევმა თქვა ის, რასაც ფიქრობდა.**

**სოფო შევარდნაძის აზრით, მედვედევს აშკარად ეტყობოდა დიდი ანტიპათია მიხეილ სააკაშვილის მიმართ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვერავინ გვაიძულებს რუსეთის შეშვებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში

**საქართველომ იცის დადებითი მხარე რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, მაგრამ არ მიაჩნია აუცილებლად შეუშვას იგი ამ ორგანიზაციაში მანამ, სანამ არ იქნება მიღებული მხედველობაში სამართლიანი პირობები, განაცხადა სამშაბათს ჟენევაში ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა.**

რუსეთი — უდიდესი ეკონომიკაა, რომელიც ამ ორგანიზაციაში არ არის, და სადაც 153 ქვეყანაა გაერთიანებული. რუსეთი ცდილობს, შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში უკვე 18 წელიწადია. მისი ერთი ნამცეცა სამხრეთელი მეზობელი, ვისთანაც მას აქვს სასაზღვრო კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ძველებურად დგას თავის პოზიციაზე და შეუძლია წინ აღუდგეს მის გეგმებს, ვინაიდან ორგანიზაციაში ახალი წევრი შეიძლება მიღებული იქნეს, თუ იქნება თანხმობა მისი ყველა ნამდვილი წევრის მხრიდან.

„ამჟამად არ შემიძლია ვთქვა, მივაღწევთ შეთანხმებას თუ არა, — განუცხადა „როიტერის“ სააგენტოს საქართველოს ელჩმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. — ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კონსტრუქციული იქნება საკითხისადმი რუსეთის მხარის მიდგომა“.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერას წლის ბოლომდე ითხოვს, კერძოდ, შეერთებული შტატები — საქართველოს მოკავშირე. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პასკალ ლამი ასევე აცხადებს, რომ, მისი შეხედულებით, შეთანხმება ამჯერად პირველად გახდა მისაღწევი.

„ჩვენ არავითარ ზეგავლენას არ ვგრძნობთ, — ამბობს ჭიაბერაშვილი. — ჩვენ ვსაუბრობთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრის სუვერენულ უფლებაზე — მოაწესრიგოს არსებული უთანხმოებანი იმ ქვეყანასთან, რომელსაც სურს, გახდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი“.

„ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვასრულებთ წესებს“.

სამშაბათს ჟენევაში ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი და რუსი ჩინოვნიკები, რათა მოამზადონ ნიადაგი ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად — საკითხი შეეხება საბაჟო პუნქტებს ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის საზღვარზე.

ორი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს სექტემბრის შუა რიცხვებში, რათა შვეიცარიელთა შუამავლობით შეეცადონ მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწესრიგონ პრობლემა პრაქტიკულად. ჟენევაში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლისგან კომენტარის მიღება ჩვენ ვერ შევძელით.

ჭიაბერაშვილის სიტყვებით, ნებისმიერი შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო მეთვალყურეების განთავსებას ორ საბაჟო პუნქტზე — საქართველოსგან გამოყოფილ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან.

საუბარზე იმის შესახებ, რამდენად საალბათოა ხელშეკრულების დადება, ელჩმა უარი გვითხრა, თუმცა აღნიშნა, რომ „ამჟამად რუსეთის ფედერაციის რიტორიკა და მოქმედებანი ხელს არ უწყობენ მოლაპარაკების კონსტრუქციულობასა და დადებით შედეგს“.

მისი სიტყვებით, წინა რაუნდის ბოლოს, რომელიც ივლისში გაიმართა, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ქვეყნის პარლამენტში შეიტანა საბაჟო შეთანხმება აფხაზეთთან. „ამგვარი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა მოლაპარაკების დროს, გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ რუსეთი მართლაც ისწრაფვის შეთანხმებისკენ“, — განაცხადა მან.

ამას გარდა, რუსეთმა გახსნა მოლაპარაკების კონფიდენციური წვრილმანებიც, აგრეთვე განაცხადა, რომ მას შეუძლია უგულებელყოს საქართველოს ვეტო, გვაცნობა ელჩმა. „ამრიგად, ჩვენ გვიჩნდება ბევრი შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია რუსეთის ნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან მიერთებასთან დაკავშირებით“.

მან აღნიშნა, რომ საქართველო მოქმედებს პასუხისმგებლობის გრძნობით და არ გამოიყენებს თავის მდგომარეობას იმისთვის, რომ მიაყენოს ზიანი რუსეთის ინტერესებს. „ჩვენ, რასაკვირველია, გვიხარია ყოველივე, რაც ხელს უწყობს ვაჭრობას. რუსეთის შესვლა ამ ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ვაჭრობას კონტინენტზე და ეს ყველასთვის სასარგებლო იქნება“.

„არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოქმედებებს რუსეთი საერთაშორისო არენაზე და რაც უფრო მეტად ემორჩილება იგი საერთაშორისო წესებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მით უკეთესია საქართველოსთვის“.

REUTERS

# კრემლის დემონის რისხვა — 08.08.08

**08.08.08 — ეს „ლამაზი“ თარიღი სამი რვიანით, რაზეც ერთი წლით ადრე ეწერებოდნენ მმაჩის ბიუროებში ციფრების მოყვარული მომავალი წყვილები, საქართველოში არასოდეს იქნება ასოციირებული საქორწინო ბუმთან. 2008 წლის 8 აგვისტო ქართველებს დაამახსოვრდებათ, უწინარეს ყოვლისა, როგორც დღე, როდესაც დაიწყო ომი.**

სამხედრო მოქმედებები მესამე ათასწლეულის დასაწყისში — არცთუ ისეთი სასწაულია: ერაყი, ავღანეთი, სუდანი, ლიბია... მიუხედავად ამისა, რუსეთის აშკარა თავდასხმა, ყოველგვარი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ორმხრივ ურთიერთობაში, საქართველოსთვის გახდა, როგორც მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. ამ სამწუხარო მოვლენის მესამე წლისთავი აღნიშნეს 9 აგვისტოს თბილისშიც, მოსკოვშიც. იქაც და აქაც დიდად წუხდნენ. მაგრამ სხვადასხვა რამის გამო და სხვადასხვაგვარად...



რუსეთის დედაქალაქში ეგრეთ წოდებულ „საპატრიარქოს გუბურებზე“ წუთიერი დუმილის შემდეგ წყალში ჩაუშვეს 387 ანთებული სანთელი — ამდენი სიცოცხლე შეიწირა აგვისტოს ომმა რუსეთის ფედერაციის მონაცემებით. თბილისში სხვა ციფრებია — 413 დაღუპული, 2234 დაჭრილი და ათასობით იძულებით გადაადგილებული სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავიანთი სახლებიდან. საქართველოში გლოვის დღედ არის გამოცხადებული მთელი კვირა, რომლის დროსაც ბევრს გულზე მიბნეული აქვს ნიშანი წითელი ყაყაჩოს სახით — იმ უაზრო და გამაოგნებელი ომის სიმბოლო.

ზოგიერთი რაღაცა ტანსაცმელზე მიიკრა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმაც. 9 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელმა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების მეათე ცალკეულ ბრიგადას გადასცა ჟუკოვის ორდენი მონაწილეობისთვის ოპერაციაში — „საქართველოს იძულება მშვიდობისკენ“, შეაქო სპეცნაზელები „მამაცობისა და გმირობისთვის“. მედვედევმა ჯილდო თავისი ხელით მიაბნია დროშაზე. რუს და ქართველ ჟურნალისტებთან ინტერვიუში სამხედრო ოპერაციის წლისთავთან დაკავშირებით კრემლის მეპატრონემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოში „საპასუხო ცეცხლის გახსნის შესახებ“ მიიღო დამოუკიდებლად და პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან ერთად, რომელიც მაშინ პეკინში თათბირზე იმყოფებოდა. პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ „რუსეთს არ ჰქონია მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დამხობის გეგმები“, მისი ამოცანა იყო მხოლოდ „აეძულებინა“ მშვიდობისთვის საქართველო, რომელიც „თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს“.

რუსეთმა მოვლენათა ასეთი ვერსია გაგზავნა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოშიც — ამის შესახებ 9 აგვისტოს გვაცნობა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმირ მარკინმა. კრემლში იმედი აქვთ, რომ სასამართლო ჰააგაში დაამტკიცებს გადაწყვეტილებას „საქართველოს პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც დამნაშავეები არიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ მოქმედებებში“. აპრილში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ შეწყვიტა საქმე საქართველოს სარჩელის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ.

თბილისში მედვედევის განცხადებებს „უპასუხისმგებლო“ უწოდეს. „საგანგაშოა, რომ რუსეთის პრეზიდენტი კვლავ ცინიკურად ამართლებს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას, სამხედრო აგრესიას, ოკუპაციას“, — ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ. და მან მიუთითა რომ, ყოველივეს მიუხედავად, „ოფიციალური თბილისი მზად არის დიალოგისთვის და მას სურს მეგობრული, ცივილიზებული ურთიერთობანი რუსეთთან. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პატივისცემით მოეკიდება იგი საქართველოს, ქართველ ხალხს, მის თავისუფლებასა და ფუნდამენტურ უფლებებს და დატოვებს მცდელობას, აღადგინოს, ამა თუ იმ ფორმით, საბჭოთა იმპერია“.

2008 წლის 8 აგვისტოს ღამით ქართული სოფლების მიმართულებით სამხრეთოსეთელი სეპარატისტების მიერ რუსეთის სამხედროების მხარდაჭერით განხორციელებული სროლების პასუხად, საქართველომ განაცხადა, რომ განზრახული აქვს აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე. საქართველოს ჯარებმა დაიკავეს მისი დედაქალაქი ცხინვალი, რის შემდეგადაც შიდასახელმწიფო კონფლიქტში აშკარად ჩაერთო რუსეთი, შეიყვანა თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე.

საბრძოლო მოქმედებანი გაგრძელდა ხუთი დღე და დამთავრდა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის რუსეთის კონტროლის ქვეშ გადასვლით, რომელმაც ასევე აღიარა მათი დამოუკიდებლობა. პასუხად თბილისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობანი მოსკოვთან და ამიერკავკასიის ორივე რესპუბლიკა გამოაცხადა ოკუპირებულ ტერიტორიებად.

Україна молода

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთში პოლიციამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და ბლოგერებმა დაიწყეს ნადირობა მჭკურველ-მაოხრებზე. ლონდონში აფეთქებებია, არეულობაა ათაობით ქალაქში**

მიუხედავად ამისა, სამშაბათის ღამე დედაქალაქში შედარებით მშვიდი იყო უკანასკნელ დღეებთან განსხვავებით. ქუჩებში გამოიყვანეს 16 ათასი პოლიციელი — სამჯერ მეტი, ვიდრე კვირის დასაწყისში. სხვა ქალაქებში ხდება სპორადული უწესრიგობანი. ეჭვქვეშ არის 2 ათასი კაცი, ხელისუფლებამ დაიწყო მათი ფოტოგრაფიების გამოქვეყნება.

* * *

**ტრაგედიამ აფრიკაში კვლავ გააცოცხლა ბრალდება რუსეთის მისამართით: „ფოქს ნიუსმა“ ბრალი დასდო პუტინს გაუმაძღრობაში**



მოსკოვმა სომალიში მოშიმშილეთათვის გამოყო სულ 1 მილიონი დოლარი მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც პუტინის სიტყვებით, „პარაზიტობს“ მსოფლიო ეკონომიკაზე, — მთელი 566 მილიონი დოლარი. სხვათა შორის, ტელეარხმა ორმაგ სტანდარტში ბრალი დასდო არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ჩინეთსაც ვენესუელასთან ერთად.

* * *

**პირველი ჩინური ავიამზიდი, რომელიც ემუქრება აშშ სამხედრო უპირატესობას, ზღვაში გავიდა**



ხანმოკლე შემოწმების შემდეგ ხომალდი დაბრუნდება გემსაშენებელ ქარხანაში ქალაქ დალიანში სამონტაჟო და საცდელი სამუშაოების შესასრულებლად. „ვარიაგის“ სამსვლელო გამოცდების დაწყება, როგორც ჩანს, აიძულებს იაპონიას და დასავლეთის ქვეყნებს, კვლავ შეშფოთებით განიხილონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალის სწრაფი ზრდის პრობლემა.

* * *

**ლიბიის ტელევიზიამ აჩვენა ვიდეოჩანაწერი, რომელიც უარყოფს ცნობას კადაფის შვილის დაღუპვის შესახებ**

გასულ კვირას იტყობინებოდნენ, რომ ნატოს ავიადარტყმების შედეგად დაიღუპა 32 კაცი, რომელთა შორისაც თითქოს იყო ჰამის კადაფიც, რომელიც მეთაურობს სამთავრობო ძალების ერთ-ერთ ელიტურ ბრიგადას. ტრიპოლიში ეს განცხადება უარყვეს, მაგრამ აქამდე არავითარ დადასტურებას არ წარმოადგენდნენ.



პერსპექტივა

# კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის აღორძინების გზით

**ეროვნული ეკონომიკის მომძლავრება პროდუქციის მოცულობის გაზრდითა და ხარისხის დონის ამაღლების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ექსპორტის მოცულობის გაზრდის, მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვისა და შიდა ფინანსური რესურსების უფრო მეტად ხელმისაწვდომობის გზით — ესაა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (იუსაიდის) მიერ საქართველოში დაფინანსებული ეკონომიკური აღმავლობის პროექტის ძირითადი მიმართულებები. ამერიკის მთავრობის ხელშეწყობით განსახორციელებელი ოთხწლიანი პროგრამის ღირებულება 40 მილიონი დოლარია, მისი მთავარი მიზანი კი საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის გაზრდაა.**



აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული მიმართულებებით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვან სექტორში კონკურენტული ბრძოლა მნიშვნელოვნად უნდა გამძაფრდეს, რაც პროგრამის დედაარსს წარმოადგენს. საქართველოში თავისუფალ ბაზართან დაკავშირებული ეკონომიკური პროცესები ისე უნდა წარიმართოს, რომ ზოგადად ვითარების გამოკეთება ერთიანად ყველაზე სასიკეთოდ აისახოს, — ესაა იუსაიდის ოფიციალური პოზიცია. მის წარმომადგენელთა აზრით, საქართველომ საგრძნობ პროგრესს მიაღწია ეკონომიკური რეფორმების სფეროში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქვეყნად სადღეისოდ გარდატეხის პერიოდშია შესული, როცა ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებლად უფრო მეტად ხელსაყრელი გარემოს შექმნაა საჭირო.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის დონალდ სტაინბერგის განცხადებით, ბიზნესის საწარმოებლად უაღრესად ხელსაყრელმა გარემომ, თავის მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და, შესაბამისად, დასაქმების დონის ამაღლება, ასევე საექსპორტო ჯგუფების მატება და მათი მოცულობის ზრდა უნდა გამოიწვიოს. ამდენად, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგების შესარბილებლად და სამრეწველო-ეკონომიკური აღმავლობის ტემპების მოსამატებლად ასევე აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად საგრძნობი რეფორმების გატარება. იუსაიდის მაღალჩინოსნის აზრით, მითითებული ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, დასახული მიზნის მისაღწევად, მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო მხარდაჭერას საჭიროებს.

საიმისოდ, რომ პროექტის განხორციელებას საგრძნობი შედეგი მოჰყვეს, ამას, ცხადია, სათანადო დრო სჭირდება. ამასთან გათვალისწინებულია ასევე ინიციატივათა იმ დარგებში გამოჩენა, სადაც მეტი ეფექტიანობის მიღწევაა შესაძლებელი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, წინასწარი საექსპერტო გამოკვლევებისა და სათანადო შეფასებების შედეგად, ეკონომიკის სამიზნე დარგები შეირჩა. ესენია, კერძოდ, **საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ასევე ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დარგი.**

რაც შეეხება პროექტის განსახორციელებელ ღონისძიებათა კონკრეტიკას, ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის ფარგლებში ღონისძიებების მიზანი თავისუფალი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კონკრეტული კომპანიების პოტენციალის ამოქმედება იქნება. პროექტით დასახული მიზნების მისაღწევად, ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის ფარგლებში შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს როგორც ქვეყნის შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან, ასევე წარმოებისა და დისტრიბუციის სხვადასხვა სფეროში მოქმედი კომპანიების ჯგუფებთან.

ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის შიდა ბაზრის უკლებლივ ყველა სეგმენტში კონკურენტიანი გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ქმედითი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შექმნა და, რაც მთავარია, მის ასამოქმედებლად აუცილებელი პოლიტიკური ნების ქონა. მეორე მეტად საგულისხმო ასპექტია სამამულო საქონლის მცირე კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რაც, უწინარესად, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამისობითაა განპირობებული. ეკონომიკის სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ, რომ **ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა ნათლად წარმოაჩენს საქართველოს კონკურენტუნარიანობის თითქმის გადაშენებული ინსტიტუტის აღორძინების აუცილებლობას**. ამან კი, წესით და რიგით, პროექტის დასრულების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაში საშუალო და მცირე ბიზნესის წილი საგრძნობლად უნდა გაზარდოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ხმა ხელისუფალთა გასაგონად!

# ერის წყლული სტკივა წყლულად...

## ანზორ ბაბუხადიას კიდევ ერთი ახალი პუბლიცისტური კრებულის გამო



**ვინც ანზორ ბაბუხადიას იცნობს, მჯერა, ყველა დამეთანხმება, რომ იგი უთუმცაოდ ის იშვიათი კაცია, რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველი ნატრობდა, რათა ზღვა ხალხიდან გამორჩეულისთვის ფიქრი ენდო და თავისი გრძნობა გაეზიარებინა...**

**ანზორ ბაბუხადია ჭეშმარიტად გამორჩეული მოქალაქე, მოღვაწე და მამულიშვილია. ამაზე მეტყველებს ეს ახალი კრებულიც, რომლის გულდასმით წაკითხვა უწინარესად ჩვენს ხელისუფალთ წაადგებოდა, რადგან ავტორი ნიშანდობლივ ჩამოთვლის იმ გადაუჭრელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც, მთების უსაზღვრო ლოდინისა არ იყოს, აგრერიგად ელოდებიან ხალხიც და ქვეყანაც.**

**აი ის პრობლემებიც:**

— საკუთრების უფლების უგულებელყოფა;

— გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო ქართული სოფლის მიტოვება-განადგურება;

— ხალხისა და „ერთი მუჭა“ ოლიგარქების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის უკიდეგანო უფსკრულის ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა;

— უცხოური გრანტებისა და „დახმარებების“ გამოყენება ყოველგვარი ქართულის დასასამარებლად;





— ეროვნული ცნობიერების ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე ხელოვნურ წინაღობათა შექმნა;

— ქართული ენის მიზანმიმართული განადგურება და არავითარი ზრუნვა ჩვენი ენის გადასარჩენად (ამ პრობლემას ეძღვნება აქვე გამოქვეყნებული ოთხი პუბლიკაცია);

— აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს გმირულად დაღუპული ბიჭების ხსოვნის უკვდავსაყოფად შეთავაზებული ღონისძიებების უგულვებელყოფა;

— ქვეყნის წარსულის არაშესაბამისი შეფასება და XX საუკუნეში მოღვაწეთაობის არარაობად წარმოჩენა... და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

საგულისხმოა, რომ წიგნის ავტორისთვის კონკრეტული ადრესატები, არც მეტი არც ნაკლები, გახლავან: ქვეყნის პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავის მოადგილეებიანად; საქართველოს თავდაცვის მინისტრი; საქართველოს მწერალთა კავშირი; ზოგიერთი „მწერალი“ და ჟურნალისტი.

უთუოდ ფართო საზოგადოებრივი განხილვის თემაა და არ გამოვრიცხავთ, რომ საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის საგანი გახდეს სტატია: **„კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა პატრიარქს“**, რომელშიც ობიექტურად არის გაანალიზებული პოლიტიკური პარტიების როლი, ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა და ქვეყნის შემდგომი მოწყობის თამამი რეკომენდაციები.

კრებულის ერთ-ერთი რეცენზენტი, პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე აგრე მიმართავს ავტორს: **„ბატონო ანზორ! დაე „შეცდომა თუ დანაშაული?!“-ს ეს მეხუთე წიგნი იქცეს თქვენი გულისტკივილის გამოხატვის ბოლო წიგნად. უნდა ვისურვო, რომ ყოველ ქართველს ისევე შესტკიოდეს გული ქართულ საქმეზე, ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალზე, როგორც თქვენ!“**

ცნობილი ჟურნალისტის ვილენ მარდალეიშვილის აზრით, **„შეცდომა და დანაშაული?!“-ს მეხუთე ნაწილი, რომლის ქვესათაურია — „მოდგმა გადამირჩინე, ღვთისმშობელო მარიამ“, თითქოს გასაღებია მთელი ამ კრებულისა... ანზორ ბაბუხადიას, რა გასაკვირია, რომ უპირველესად თავისი სამშობლოს, საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების სამზეოზე გამოტანა განუზრახავს და ენის, მამულის, სარწმუნოების შინაური თუ გარეშე მტრისგან დამცველთა წინა რიგებში დგას!“**

წიგნს წინასიტყვად უძღვის ცნობილი სწავლულის, წიგნის რედაქტორის ვალერი ასათიანის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ **„ბატონი ანზორი წერს ადამიანის, ქვეყნის სიყვარულით. იგი ვერ ეგუება უსამართლობას, უმეცრებას, ცინიზმს, არაპროფესიონალიზმს, უზნეობას, უმსგავსობას, ქვებუდანობას, უპრინციპობას, გულგრილობას, მლიქვნელობას, თავაშვებულობას... ვერ ეგუება ერის წინაშე ჩადენილ „დანაშაულს“. ამიტომაც ჰქვია მის წიგნს „შეცდომა თუ დანაშაული?!“**

**ვერ ეგუება და იბრძვის. და თუ ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს, ნამდვილად გვინდა უკეთესი ხვალინდელი დღე, მომავალი საქართველოს კეთილდღეობა, მხოლოდ ტელემაყურებლად და მკითხველებად კი არ უნდა ვიქცეთ, არამედ უნდა ვიმოქმედოთ, ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძვის ბატონი ანზორ ბაბუხადია თავისი ცხოვრების წესითა და „სიტყვით საქმიანით“.**

ბიოლოგიაში არის ერთი ასეთი ტერმინი — ალგეზია, რაც ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, როცა ორგანიზმს დაკარგული აქვს ტკივილის შეგრძნების უნარი. ამჟამად სწორედ ასეთ მდგომარეობაშია საქართველო, თვითონ ქართველი ხალხი, მთლიანად ჩვენი საზოგადოება, ხოლო ანზორ ბაბუხადია იმ არასტატისტიკურ მოქალაქედ გვევლინება, რომელიც თითქოსდა ყველას მაგივრად გრძნობს ჩვენს საერთო ტკივილს და კი არ კვნესის, არამედ ხმალამოწვდილი მებრძოლის ყიჟინით ცდილობს მრავალწლიანი სიცრუის ბურანში ჩათვლემილი ქვეყნის შეჯანჯღარებას...

**გურამ წიკლაური**

ინფორმაცია

# ამერიკულ სიმინდს მავნებლები შეესია

**სურსათის ეროვნული სააგენტო აღმოსავლეთ საქართველოში ამერიკული სიმინდის ნათესებში პოლიფაგი მავნებლების - ხვატარისა და ფარვანას წინააღმდეგ ქიმიურ წამლობას ახორციელებს.**

**როგორც იტყობინებიან აღმოსავლეთ საქართველოში დაგეგმილია 3 ათასი ჰექტარი ფართობის დამუშავება.**

**მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ჩატარდება შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონში, ასევე დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მავნებლის ძლიერი გავრცელება შეინიშნება. დასავლეთ საქართველოში დამუშავდება 3000 ჰა ფართობი.**

**პოლიფაგი მავნებლები - ხვატარი და ფარვანა მასობრივი გავრცელების უნარით გამოირჩევიან. მდელოს ხვატარი ანადგურებს 37-მდე სხვადასხვა სახეობის პარკოსან და მარცვლოვან კულტურებს. ძირითადად აზიანებს სამარცვლე და სასილოსე სიმინდის ყანებს. ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო (გაზაფხულზე ხანგრძლივი წვიმები, დაბალი ტემპერატურა) მომრავლდა ასევე ნაირჭამია მავნებელი - ფარვანა, რომლის ძირითად საკვებ კულტურას სიმინდი წარმოადგენს. სიმინდის მაღალი მოსავლის პირობებში მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით, დაიგეგმა დაზიანებული ფართობების დამუშავება.**

ჯი-ეიჩ-ენი



◎ უნივერსიადა

# რვა სახეობაში იასპარეზებენ



**ჩინეთის ქალაქ შენჟენში ხვალ საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო უნივერსიადა, რომელშიც 150 ქვეყნის ათი ათასამდე სტუდენტი სპორტსმენი იასპარეზებს. საქართველოს წარმომადგენლები რვა სახეობაში მოსინჯავენ ძალებს.** საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციის თავკაცის ნიკოლოზ ამაშუკელის ხელმძღვანელობით უნივერსიადაზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: პაატა მერებაშვილ, გიორგი შოშიაშვილი, ამბაკო ავალიანი, დავით კარბელაშვილი, ბექქილ ნავერიანი, არჩილ სალინაძე (ყველა – ძიუდოძ, დავით ჭელიძე (მშვილდოსნობაძ, მერაბ ქინიძე (მძლეოსნობაძ, დავით ბენიძე, ნინო ბაციაშვილი, სოფიკო გურამიშვილი, ლუკა პაიჭაძე, მაკა ფურცელაძე (ყველა – ჭადრაკიძ, ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი (ორივე – წყალხტომაძ, თათია აფციაური, ბექა ბაზაძე (ორივე – ფარიკაობაძ, სერგო პეტრიძე (მაგიდის ჩოგბურთიძ და შალვა დალაქიშვილი (სპორტული ტანვარჯიშიძ. 13 აგვისტოს შეჯიბრებაში პირველები ძიუდოისტები და მოფარიკავეები ჩაებმებიან.

**გივი გაგუა**

◎ ჭიდაობა

# „ვერცხლით“ დაიწყეს



**ვარშავაში მიმდინარე ჭაბუკ ფალავანთა ევროპის პირველობის სტარტზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამ ჯილდოს მფლობელი გახდა შოთა ფანცულაია.** 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ სძლია ლიტველ ტომას ბარაკევიჩიუსს, რუს ბორის სემიონოვსა და ბელარუს ულადიძიმირ იელისეიეუს და ფინალში თურქ ბარის კაიას დაუპირისპირდა. პირველი პერიოდი ჩვენმა ფალავანმა 0:2 წააგო, მეორე რაუნდში 1:0 აჯობა მეტოქეს, მესამე – გადამწყვეტი ორთაბრძოლა თურქმა მოიგო და ჩვენებურიც ვერცხლის მედალს დასჯერდა. რაც შეეხება დანარჩენებს, გიორგი პასიკაშვილი (42 კგძ, რაულ შაკულოღლი (58ძ, შალვა ჭადაშვილი (69ძ და ბექა როჭიკაშვილი (85ძ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

**ლაშა დიდია**

◎ წყალბურთი

# ევროთასზე – ორი გუნდით



**წლეულს სექტემბერში წყალბურთელ ვაჟთა კლუბები ევროტურნირებში ჩაებმებიან. მოასპარეზეთა შორის საქართველოს ორი წარმომადგენელი იქნება – „ლიგამუსი-თბილისი“ და „ივერია“. ისინი 23-25 სექტემბერს ევროპის თასზე ითამაშებენ. A ჯგუფის** პირველ საკვალიფიკაციო რაუნდს თბილისის „ოლიმპიკის“ აუზი უმასპინძლებს. მომდევნო ეტაპზე გასასვლელი ოთხი საგზურისთვის „ლიგამუს-თბილისს“ უნგრეთის „ჰონვედი“, საფრანგეთის „ოლიმპიკი“, რუსეთის „სანკტპეტერბურგი“, ჰოლანდიის „დე ჟილ ლეიდენსი“ და ხორვატეთის „მედვეშჩაკი“ დაუპირისპირდება. რაც შეეხება „ივერიას“, იგი გერმანიაში ითამაშებს იქაური „ჰანოვერის“, საბერძნეთის „პანიონიოსის“, რუმინეთის „ამეფა არადის“, თურქეთის „ენკას“ და ხორვატეთის „მირნარ სპლიტის“ წინააღმდეგ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ქვიშის რაგბი

# სამგზის!

**ქუთაისის „აიამ“ წლეულს პირველი ტიტული მოიპოვა.ბათუმში, ბულვარის სტადიონზე გამართულ ქვიშის რაგბის ტურნირზე ქუთათურები ზედიზედ მესამედ გახდნენ ჩემპიონები.**

ტურნირში უმაღლესი და პირველი ლიგის ოთხ-ოთხი გუნდი მონაწილეობდა („ლოკომოტივი“, „ყოჩები“, „აკადემია“, „აია“, „ბათუმი, „დევები, „ჯიქები“, „ფოთი“, ორ ქვეჯგუფად. „აია“ ჯგუფში „აკადემიასთან“, „ლოკომოტივთან“ და „დევებთან“ ერთად მოხვდა. ბესიკ ხამაშურიძის გაწვრთნილმა გუნდმა სამივე მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში „ყოჩებს“ დაუპირისპირდა. შეხვედრა ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა და „აიას“ გამარჯვებით დასრულდა 5:2.

ფინალში „აიას“ თანაჯგუფელი „აკადემია“ დაუპირისპირდა. საინტერესო და დრამატული შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 3:3 დასრულდა. დამატებითში კი ქუთაისელებმა იყოჩაღეს, ოქროს ლელო გაიტანეს და გამარჯვება მოიპოვეს – 4:3.

„აიამ“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ბესიკ ხამაშურიძე (მოთამაშე მწვრთნელიძ, თორნიკე ლომიძე, ზურაბ ძნელაძე, ირაკლი რევიშვილი, ლევან შარვაშიძე, გიორგი აბრამიძე, გელა შალამბერიძე, გიგა გურეშიძე, გიორგი ცირეკიძე.



**ბესიკ ხამაშურიძე:** „ტურნირი ისეთ დროს ტარდება, როცა ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული, ამდენად ქვიშის რაგბის თამაში ჩვენთვის ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდიცაა. აქ ხშირია შებოჭვა და კომბინაციური თამაში. ტურნირის მიმდინარეობისას ამ ნიუანსებს ვამუშავებდით, რაც ჩემპიონატშიც გამოგვადგება. რაც შეეხება ტურნირს, საინტერესო შეჯიბრება იყო. გუნდები ძლიერი შემადგენლობებით იყვნენ ჩამოსულნი და მაყურებელიც მრავლად ესწრებოდა შეხვედრებს.

ქვიშის რაგბი სახალისო ტურნირია და აქ ისეთი დაძაბულობა არაა, როგორც ჩემპიონატში. ჩვენც უფრო მხიარული განწყობით ვთამაშობთ ხოლმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტურნირს სერიოზულად არ ვეკიდებით. პირიქით, ძალზედ მონდომებულად ვითამაშეთ და შედეგიც სახეზეა – ზედიზედ მესამედ გავხდით ჩემპიონები.“

◎ ექსტრემი

# დიანამ სიტყვა ვერ შეასრულა

**ჩვენ გაზეთში ამ დღეებში (9.08ძ ვწერდით, რომ 61 წლის ამერიკელმა მოცურავემ დიანა ნიადმა გადაწყვიტა ფლორიდის სრუტის გადაცურვით გადალახვა, მაგრამ ამერიკელმა ვერ შეასრულა დაპირება და ვერ გახდა პირველი ადამიანი, რომელიც კუბიდან ამერიკამდე ცურვით გადალახავდა 166 კილომეტრს ზვიგენების დამცველი გალიის გარეშე.** მოცურავემ ცდა შეაჩერა ამინდის გაუარესებისა და მძლავრი წყალქვეშა დინებების, აგრეთვე ჯანმრთელობის გამო. დიანამ წყალში გაატარა 29 საათი, დაპირებული 60 საათის ნაცვლად. თუმცა იგი აცხადებს, რომ არ დანებდება და მაინც შეასრულებს დანაპირებს. ზვიგენებისგან მოცურავეს იცავდა სპეციალური ფარი, სუსტი ელექტროიმპულსებით რომ იყო აღჭურვილი. სწორედ ნიადს ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ღია წყალში შორეულ გადაცურვაში – 29 წლისამ 163 კმ გადაცურა.



◎ ჩოგბურთი

# თურქეთისა და გერმანიის კორტებზე




**სტამბოლში დაწყებულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) წარმატებით აიღო სტარტი სოფიო ქვაცაბაიამ. პირველ წრეში მან სლოვენიელი ანია პრისლანი დაამარცხა – 6:4, 6:2. მომდევნო რაუნდში იგი ესპანელ ხეორხინა გარსია-პერესსა და ფრანგ ირინა პამოალისონს შორის გამარჯვებულს შეხვდება.**

გერმანიის ქალაქ ვერსმოლდის 25-ათასიან ტურნირში მონაწილეობს ეკატერინე გორგოძე. საკვალიფიკაციოში მან მასპინძელ ელეონორ დინს სძლია (1:6, 6:3, 6:1ძ, თუმცა თავადაც წააგო პოლონელ ანა კორჟენიაკთან (7:5, 1:6, 1:6ძ. ამის მიუხედავად, ჩვენი თანამემამულე „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით მაინც მოხვდა ძირითად ბადეში, სადაც ჰოლანდიელ დანიელა ჰარმსენს დაუპირისპირდება.

◎ ინტერნეტიდან

## ჯოკოვიჩი — პირველი ჩოგანოსანი



**ორშაბათს, მონრეალში Masters-100 — Rogers cup კატეგორიის ტურნირის გახსნის დროს 24 წლის სერბ ჩოგბურთელს ნოვაკ ჯოკოვიჩს გადაეცა პლანეტის პირველი ჩოგანოსანის პრიზი. შეგახსენებთ, რომ სერბი ჩოგბურთელი რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე პირველად „ავიდა“ წლევანდელ 4 ივლისს, „ჩამოაგდო“ რა ამ პოზიციიდან 25 წლის ესპანელი რაფაელ ნადალი, ასე რომ, ჯოკოვიჩი გახდა რეიტინგის ისტორიაში 25-ე პირველი ჩოგანოსანი მსოფლიოში.**

მიმდინარე სეზონის დროს სერბმა გაიმარჯვა 48-ჯერ და დამარცხდა მხოლოდ ერთხელ შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან როლან გაროსის ნახევარფინალში. წლეულს ჯოკოვიჩმა 8 საპატიო ტიტული მოიპოვა – მათ შორის ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე და უიმბლდონში, აგრეთვე მასტერსის 4 ტურნირზე (ინდიან-უელსში, მაიამიში, მადრიდსა და რომშიძ

Rogers cup – ჯოკოვიჩისთვის პირველი ტურნირია უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტურნირზე ჯერ არ გაუმარჯვია ATP რეიტინგით არც ერთ ლიდერს.

## სომეხი მწვრთნელები მიახვრიტეს

**ეს უბედური შემთხვევა გვატემალაში მოხდა. ბანდიტების მსხვერპლნი გახდნენ მამა-შვილი მანველ და დავით მალოიანები. ისინი უკვე რამდენიმე წელია, გვატემალაში მძლეოსნობის მწვრთნელებად მუშაობდნენ.**

მათ თავს დაესხნენ იმ მომენტში, როდესაც სომეხი მწვრთნელები გამოდიოდნენ გვატემალის მძლეოსნობის ფედერაციის შენობიდან, დედაქალაქის ოლიმპიური ცენტრში რომ მდებარეობს. ამ თავდასხმის შედეგად 30 წლის დავითი ჰოსპიტალში გარდაიცვალა, 60 წლის მამამისი კი უმძიმეს მდგომარეობაშია. პოლიციას ჯერ არ წაუყენებია თავდასხმის შესაძლო მოტივები.

როგორც ამბობენ, მწვრთნელების ავტომანქანა შეასკდა ტაქსს და ისინი ან ტაქსის მძღოლმა, ან მანქანაში მჯდომმა მგზავრმა მიახვრიტა. მკვლელი მიიმალა.

## ფეხბურთელმა მოხიბლა



**ინგლისის სუპერთასზე გამარჯვების შემდეგ პრესის ყურადღების ცენტრშია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ტომ კლევერლი. სწორედ ახლა გაირკვა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ხვდება პოპულარულ ლამაზმან მოდელს.**

მას ემილი ო'ხარა ჰქვია და ხშირად ჩნდება სხვა ლამაზმანებთან ერთად გამოცემის Nuts ფურცლებზე.

თუმცა ყველაფერში ცხვირჩაყოფილი პაპარაცები მასზე თითქმის არაფერს წერდნენ. მაშინ კლევერლი ძირითად შემადგენლობაში არ იყო. მაგრამ როგორც კი ის გუნდს დაეხმარა „სიტის“ დამარცხებაში, შეყვარებულებს პაპარაცებისგან მოსვენება აღარ აქვთ. მით უმეტეს, რომ ქალიშვილს ფოტოობიექტივის წინ გაშიშვლება ჰყვარებია.

◉ გაითვალისწინეთ!

# სახიფათო სხივები

## მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მობილური ტელეფონები ოფიციალურად სცნო კანცეროგენად

**ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ კაცობრიობას კვლავ შეახსენა, თუ რა დიდი ხიფათი მოაქვს ადამიანებისთვის გამოსხივებას. არადა, სკოლის ფიზიკას თუ გავიხსენებთ, თითოეული ჩვენგანი დღის განმავლობაში გამოსხივების არც თუ მცირე დოზას იღებს.**

თურმე ერთდროულად ბევრი ელექტროხელსაწყოს გამოყენება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. გამოსხივების ზეგავლენა ტალღის სიგრძეზეა დამოკიდებული. მოკლეტალღიანი, ანუ არაიონწარმომქმნელ გამოსხივებას (რენტგენის, კოსმოსურს, გამა სხივებსძ ქსოვილების სითბური დაზიანება და უჯრედის სტრუქტურების რღვევის გამოწვევა შეუძლია.

მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ არაიონწარმომქმნელი გამოსხივებები ამჟამად რადიაციაზე მეტ საფრთხეს წარმოადგენენ. **რადიაცია ლოკალური მოვლენაა, მისი მოქმედების ზონის მიღმა ადამიანს საფრთხე არ ემუქრება, თანაც იგი კატასტროფების და არა ყოველდღიურ ყოფითი მოვლენების მწკრივს განეკუთვნება. ელექტრომაგნიტური ველების გამოსხივებას კი ყოველ წამს განვიცდით.**

სამზარეულოში მდუღარე ჩაიდანი, მომუშავე ტელევიზორი და მაცივარი, ქალაქისა თუ მობილური ტელეფონები, კომპიუტერი – ფაქტობრივად ყველაფერი, რაც ელექტროქსელიდან იღებს ენერგიას, გამოსხივების წყაროა. ცალკეული ხელსაწყო, შესაძლოა, სახიფათო არც იყოს, მაგრამ მათი ერთობლივი ჩართვისას, გამოსხივების ეფექტი ჯამდება.

თუ რადიაციის დონის გაზომვა დოზიმეტრითაა შესაძლებელი, არაიონწარმომქმნელი გამოსხივების დროს მნიშვნელობა მრავალ ფიზიკურ ფაქტორს აქვს: ესენია **ტალღების სიგრძე და გამოსხივების ინტენსივობა, ავადმყოფობებისადმი მიდრეკილება და ასაკი.** ამდენად, დამოკიდებულების „დოზა-ეფექტის" დადგენა ისევე, როგორც რადიაციის შემთხვევაში, შეუძლებელია. დენები შეიძლება მოძრაობდნენ კანის ზედაპირზე, ან უფრო ქვევით – კანქვეშ – ცხიმოვან ქსოვილებში, ანდა სულაც სისხლძარღვებში. შედეგიც ლოკალიზაციაზე იქნება დამოკიდებული.

1996-2003 წლების შუალედში ახალზელანდიელი ფიზიკოსი, დოქტორი ნილ ჩერი ელექტრომაგნიტურ ველთა ზემოქმედებას მთელი მსოფლიოს მოსახლეობაზე სწავლობდა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივება დნმ-სა და ქრომოსომებში დარღვევებს იწვევს, ცვლის თავის ტვინის აქტივობასა და არტერიულ წნევას. ჩერიმ ასევე ივარაუდა, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივება ასევე ზრდის ონკოგენთა აქტივობას. **წლეულს ივნისში კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მობილური ტელეფონები ოფიციალურად აღიარა პოტენციურ კანცეროგენად, მათი აქტიური გამოყენება – ეს კი მინიმუმ ათი წლის განმავლობაში დღეებში სულ მცირე ნახევარ საათ ლაპარაკს ნიშნავს, თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის საფრთხეს 40 პროცენტით ზრდის.**

იმის გამო, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივების სამიზნე პირველ რიგში თავის ტვინი ხდება, სწორედ ეს ხდება ყურადღების გაფანტვის, მეხსიერების დარღვევის, ქრონიკული დაღლილობის, შემდგომში ცენტრალურ ნერვულ სისტემაში პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობის მიზეზი. ამიტომაა, რომ ბოლო დროს მობილურ ყურმილებს ასე დიდ ყურადღებას უთმობენ.

**დალი ხუნდაძე**

### ინფორმაცია თემაში

**როგორ ავიცილოთ ელექტრომაგნიტური გამოსხივების მავნე ზემოქმედება?:**

- ეცადეთ შეამციროთ ელექტროხელსაწყოთა რიცხვი საძინებელ ოთახში. საწოლებს ნუ დადგამთ იმ კედელთან, რომელთა იქით მაცივარი ან ტელევიზორი დგას; ყველაზე ინტენსიური ელექტრომაგნიტური გამოსხივება მიკროტალღურ ელექტროღუმელს აქვს, ამიტომ როცა ის ჩართულია, მის გვერდით ნუ გაჩერდებით;
- როცა ელექტროხელსაწყოს არ ამუშავებთ, აუცილებლად გამორთეთ იგი ქსელიდან. მოლოდინის რეჟიმში ხელსაწყო მძლავრი გამოსხივების წყაროა;
- მობილური ტელეფონების გამოსხივებისგან თავის დასაზღვევად თავთან არ მიიტანოთ იგი ნომრის აკრეფისას და კავშირის დამყარებისას, ასევე დატენვისას;
- ძალიან მნიშვნელოვანია ასევე მობილური ტელეფონებით სარგებლობის შეზღუდვა მოზარდებისთვის და მომავალი დედებისთვის.

◉ ცათა შინა, სასუფეველში

# რა ხდება მანდ ზურა, შენისთანა მხარგაშლილობა უყვართ?!


თანადგომა
12 აგვისტო, 2011 წ. საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი * გამოდის 2001 წლიდან
ზურაბ ქაფიანიძე
თავის ქვეყანაზე გულდამწვარი დიდი კაცი

გავიდა, უცებ გაფრინდა 40 დღე, ზურაბ ქაფიანიძის სული უკვე ზეცაშია, თავის უახლოეს ადამიანებთანაა, სხვადასხვა დროს ჩვენგან წასულ ერის საამაყო შვილებთანაა... ნეტა იცოდე, როგორ დააკლდი საქართველოს, ზურა! დღე არ გავა შენ არ მოგიგონონ... და არა მარტო ნაცნობ-მეგობრებმა... ახლახან კოტორაშვილი უჩვენეს საპატრიარქოს ტელევიზიით, ანუ შენი სულის წყობა, შენი ქართული ჯიგარი გამოანათეს, სამშობლოს სამსხვერპლოზე მისატანად რომ გქონდა ნიადაგ გამზადებული... ო, როგორ დააკლდება ასეთი ჯიგრიანი ქართველები ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს, ზურა! კოსმოპოლიტიზმის ჭაობში ეფლობა შენი სალოცავი სამშობლო და თითქმის აღარავის აგულისყურებს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ...

რა მოასვენებდა შენს საყვარელ ანზორ ბაბუხადიას, რომ შენი სულის ზეცად ასვლა თავის სამაგალითო გაზეთ „თანადგომაში" არ აღენიშნა?..

ჰოდა, „თანადგომის" ეს ნომერი შენ გეძღვნება, ზურა. მასში დაბეჭდილია შენი ძვირფასი ადამიანების გიგა ლორთქიფანიძის, მერაბ ბერძენიშვილის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, მუხრან მაჭავარიანის, მერაბ კოკოჩაშვილის, ერეკლე საღლიანის, დოდო იორდანიშვილის, გოგი დოლიძის, ვახტანგ ცხადაძის მოგონებები, შოთა ტოგონიძის, გია ჯაფარიძის, ანზორ აბულაშვილის, ბადრი ქუთათელაძის ლექსები... და შენ გხატავენ, ძმაო, – ქართულად აღნაგს, ქართული სულის, უნიჭიერეს მსახიობს, დიდ მეოცესაუკუნელს, რომლის მსგავსის გამოჩენას ქართულ მიწაზე, დიახაც ვინატრებდით ოცდამეერთე საუკუნეში. ვინატროთ, რომ დაიბადონ, რომ ქართული ჯიში გაგრძელდეს...

შენი სული უკვე ზეცაშია, ზურა...

რა ხდება მანდ, ლომო? შენისთანა მხარგაშლილობა უყვართ?!. მაშინ ვინატროთ, მანდაც სამაგალითო იქნები!..

ღმერთმა გაგინათლოს სული!

**ვილენ მარდალეიშვილი**


მუხრან მაჭავარიანი, ზურაბ ქაფიანიძე

◉ ინფორმაცია

### სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დააჯარიმეს

შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ღონისძიების შედეგად, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე რამინ დუმბაძე დააჯარიმეს, რომელიც ზღვაში შეტყობინების გარეშე გავიდა.

რამინ დუმბაძეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა ორი) მუხლის I ნაწილის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. ასევე დააჯარიმეს აზერბაიჯანის მოქალაქე მახმან მეხტიევი, რომელმაც ჰიდროციკლით საქართველოს საზღვაო წყლებში ცურვის წესები დაარღვია.

მახმან მეხტიევი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა 2) მუხლის VI ნაწილის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით.

### აზერბაიჯანში აფეთქებისას საქართველოს მოქალაქე დაშავდა

აფეთქება ბაქოდან 180 კილომეტრში, ავტოგასამართ სადგურზე მოხდა. გარდაცვლილია 4 ადამიანი, 16 კი დაშავდა, მათ შორის ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე. 25 წლის დავით ჩანქსელიანი დამწვრობის ცენტრშია მოთავსებული. მას სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები არ აღენიშნება.

ჩანქსელიანი აფეთქებისას შემთხვევის ადგილზე მანქანით გადაადგილდებოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი" 2011 წლის 11 აგვისტოდან აცხადებს აუქციონს 25 მმ აცეიდის რეალიზაციის შესახებ.**

**რაოდენობა – 120 ცალი, ზომა – 160სმX120სმ**

1 (ერთი) ცალი აცეიდის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 140 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მყიდველი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში აუქციონის ჩატარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გააფორმოს შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც კონკრეტულად განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი და ანგარიშსწორების პირობები.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე (ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული).

აუქციონი გაიმართება 2011 წლის 30 აგვისტოს 15 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

**დამატებითი ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:**

**ტელ. 265 31 42, 5 77 43 47 42**

**სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი სატენდერო და სააუქციონო კომისია.**

შვილები მერი, ვაჟა შათირიშვილები, რძალი მარიკა კობერიძე, სიძე გენადი (გიზო) კუხალაშვილი, შვილიშვილები გვანცა, თეკლა, დათო, ლევანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ხმალაძე

პანაშვიდი 11, 12 VIII, დაკრძალვა 13 VIII, 14 სთ. მისამართი: თელავის რაიონი, სოფ. იყალთო.

### განცხადება

მიმდინარე წლის 2 სექტემბერს, 14 საათზე ჩატარდება სს „ფოთი-მაცივარის" აქციონერთა კრება შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა №9.

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის სამეურნეო შედეგების განხილვა.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### ვიროზებრები

**პალესტინის სექტორ ღაზაში ისრაელის ჯარის შარშანდელ შეჭრას, იქაურ პაწაწინა ზოოპარკ „მარა ლენდში“ ორივე ზებრა შეეწირა, რადგან ხალხმა ის ადგილები მიატოვა, ცხოველებისთვის საჭმლის დასაყრელად არავის ეცალა...**



კონფლიქტის დასრულების შემდეგ პალესტინელი ბავშვები გულდაწყვეტილები იყვნენ საყვარელ ცხოველთა დაღუპვის გამო. ვინაიდან მიწისქვეშა გვირაბით, რომლითაც ისრაელის მიერ დაბლოკილ სექტორში საქონელი შეჰქონდათ ზოოპარკში ზებრის ჩაყვანას სულ მცირე 40 ათასი დოლარი სჭირდებოდა, მისმა მფლობელმა მოჰამედ ბარგუთიმ ეშმაკობა იხმარა – მან შავ ზოლებად... ორი თეთრი დედალი ვირი შეღება, ბავშვების სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა!

### ქვედაბოლო თუ შარვალი?

**ჟანა დ'არკის მიმართ წაყენებული ბრალდების ერთ-ერთ პუნქტი ის იყო, რომ იგი მამაკაცური ტანსაცმლით დაიდოდა. ისტორიაზე მოდის გავლენის თეორიის თავგადაკლული მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ ლუდოვიკი XVI თავქარიანი თანამეცხედრე მარია-ანტუანეტა ერთ მშვენიერ დღეს ხალხს მამაკაცის შარვლის მსგავს სამოსელში გამოწყობილი გამოეცხადა...**



თუმცა მარია-ანტუანეტას მწარე გაკვეთილმა ქალბატონები მაინც ვერ შეაჩერა, მაგრამ მისი სიკვდილით დასჯიდან ასი წლის შემდეგაც კი შარვლიან ქალებს პარიზშიც კი – მოდის ჭირვეულობებისადმი მსოფლიოს ყველაზე მეტად შემწყნარებელ ქალაქში – თეატრებში არ უშვებდნენ. არადა, ამ მხრივ მამაკაცებიც დიდად არ განსხვავდებიან ქალებისგან – აზიის მრავალ ქვეყანაში მამაკაცები არხეინად დაბრძანდებიან ქვედაბოლოებით, ანდა კაბებით, შოტლანდიური კილტი კი ხომ სულაც ეროვნული სამოსელის სიმბოლოდ გადაიქცა, მიუხედავად იმისა, რომ მე-18 საუკუნეში ინგლისის მთავრობამ მისი ტარება კატეგორიულად აკრძალა!

მოდის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ თანამედროვე ევროპული სამოსელი პირდაპირ კავშირშია არქტიკის ხალხთა ეროვნულ ტანსაცმელთან, რადგან ჩრდილოეთში კაბა აშკარად გამოუსადეგარი სამოსელია. ეს კია ერთ-ერთი ვარაუდი, მაგრამ ამასთან დაკავშირებით დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ჟილეტი ძველ ჩრდილოელთა გამოგონებაა. თუმცა შარვლის გაჩენის ამბის ყველაზე მეტი მომხრე მაინც მის ცხენზე ჯდომასთან აუცილებლობით განპირობებას ჰგავს.

ასევე ისიც უნდა ითქვას, რომ ქვედაბოლოს „დასამარცხებლად“ შარვალს სამი, ანდა, შესაძლოა, სულაც ოთხი ათასი წელი დასჭირდა.

### ჩუჩხეს იდეების სავალალო შედეგები

**ევროკომისია ჩრდილოეთ კორეაში მოშიმშილეთათვის დახმარების სახით 10 მილიონ ევროს გამოყოფს.** კომისიის მონაცემებით, სახელმწიფო სასურსათო ულუფა, რომელზეც ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედის ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული (!ძ, ერთ სულზე დღეში 400 გრამიდან წლევანდელ აპრილში 150 გრამამდე შეამცირეს, რაც ერთი პატარა ჯამი ბრინჯის ოდენობაა!

### ჩვენ და „ძმანი ჩვენი უმრწემესნი“

**● შინაურ ცხოველთა პატრონები საშუალოდ 4-5 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც სახლში ცხოველი არა ჰყავს;**



**● კატები 22-სა და 44 ჰერცის შუალედ სიხშირეზე კრუტუნებენ, ხოლო ამ სიხშირეზე ვიბრირება აჩქარებს უჯრედები რეგენერაციის (აღდგენისძ პროცესს;**

**● როცა კაცი ძაღლს ან კატას ეფერება, მაჯისცემა უნელდება და წნევა ქვევით უწევს;**

**● აკვარიუმის თევზების ცქერა სტრესს ხსნის;**

**● ბავშვები, რომელთა ოჯახებში შინაური ცხოველები ცხოვრობენ, სკოლაში უკეთ სწავლობენ;**

**● მსოფლიოში ყველაზე პოპულარულნი... უჯიშო ძაღლები არიან, ისინი ძაღლების პატრონთა 58 პროცენტს ჰყავს;**

**● ბავშვებთან ერთად ცხოველები თავს გაცილებით მშვიდად გრძნობენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა უცხო გარემოში ხვდებიან.**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ძველად ყველაზე დიდ ციფრად მეოთხე, მეშვიდე ანუ მეთერთმეტე მიაჩნდათ, მაგრამ ოვიდიუსის, პუშკინის, ოდოევსკისა და ცნობილი რუსი მხატვარ აივაზოვსკის გავლენით ჩვენ დღეს სულ სხვა ციფრს ვასახელებთ – ესაა მეცხრე.**

**● „რაჯივ“ ჰინდის ენაზე ლოტოსს ნიშნავს, ამიტომ უკავშირებს ბევრი ინდოეთის პრემიერ რაჯივ განდის ხანმოკლე პოლიტიკურ კარიერას ლოტოსის ყვავილს.**

**● პეტრე I-მა ფლოტის თანამედროვე ლანჩის მსგავსი რამ დააწესა: მეზღვაურები და ოფიცრები ყოველდღე, 11 საათამდე, სვამდნენ და წაიხემსებდნენ. მაშინ ამას „ადმირალის საათი“ ერქვა.**

მოგვაწოდა

ტიტე კოპალეიშვილმა


## სტუდენტთა საყურადღებოდ!

**აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასური 1700 ლარი. საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.**

**მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.**

**რექტორატი**


## კადრი

### დათვი ეძებს იმ ადგილს, სადაც უკეთესად გამოძლება, ადამიანი კი - სადაც მეტი სითბოა



რა უნდა თეთრ დათვს? კვადრატული კილომეტრები, სადაც შეიძლება საკვები მოიპოვოს, რის გამოც „ედავება“ იგი თავის სისხლით ნათესავს. სიცივე და ყინული მას სულაც არ აგულისყურებს. ადამიანს კი სურს, რომ სახლში, უწინარეს ყოვლისა, სითბო იყოს. სტრასბურგის (საფრანგეთიძ მახლობლად ააგეს „მზის“ სახლი, რომლის ფანჯრებიც ისეა განლაგებული, რომ წლის ნებისმიერ დროს ისინი იჭერენ მზის სხივებს.

## ანეკდოტები

სვანს ცოლი მოუკვდა. მივიდა გაზეთის რედაქციაში და იკითხა:

– რა ღირს განცხადების გამოქვეყნება?

– თუ ბევრ სიტყვას ჩაწერ – ძვირი, თუ ორ სიტყვას – იაფი.

სვანმა ორი სიტყვა ჩაწერა: „გარდაიცვალა მარუსა“.

– თუ გინდა კიდევ ორი სიტყვა დაამატე და ამ თანხაში ჩაგტევთ, – უთხრეს რედაქციაში. სვანმაც დაამატა: „ვყიდი „მოსკვიჩს“.

* * *

ქმარს რატომ ეყრები, იზოლდა? – ეკითხება მეზობლის ქალი.

– არაფრის მაქნისია, მარტო უწმაწური სიმღერები იცის.

– და გიმღერის ხოლმე?

– არა, ვუშლი, მაგრამ მოძრაობებით მაჩვენებს.



* * *

აგარაკზე ქურდი შეიპარა. ეზოში გავარდნილმა ძაღლმა უეცრად ადამიანის ენაზე დაუძახა: „შეჩერდი“. ქურდს შიშისგან გული წაუვიდა. თვალი რომ გაახილა, ძაღლი ნიშადურის სპირტით ადგა თავს. ქურდი ეკითხება:

– შენ რა, ყეფა არ იცი?

– კი ვიცი, მაგრამ შენი შეშინება არ მინდოდა.

* * *

– მიხო, სად მიგყავს ეგ ბუღა? – ეკითხება ზაქრო.

– საცოლეს უნდა შევახვედრო ანაგაში.

– ანაგა ხომ შორსაა... აქ რა, ვერავინ გაურიგე?

– შე ვირო, შენა, – აფეთქდა მიხო, – გემოვნების საქმეა, შენ მაგ საქმისათვის იმერეთში რათ გაგლიჯინდი?

* * *

მიხო ძალიან უხასიათოდაა.

– რა მოგივიდა? – ეკითხება მიტო.

– ცუდი სიზმარი ვნახე წუხელა!

– მაინც რა იყო?

– ვითომა მიხო ვიყავი.

– მერე რა, ისედაც მიხო არა ხარ?

– ეგ ვიცი, მაგრამა სიზმარში ძაან მურტალია, რა!


ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ

სპარტაკ ძოწულია

299-62-77;

599 36-00-35

მთავარი რედაქტორი

ალეკო ასლანიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24